ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 1 დეკემბერი, 2015 №282 (6902) ფასი: 50 თეთრი

## „რუსეთმა სირიაში შეიძლება ბირთვული იარაღი შეიტანოს“

ვახტანგ მაისაია: „რუსეთის შესაძლებლობების შეუფასებლობა არ შეიძლება“



გვ.7

# თარგამაძე, დავითაშვილი და ლორთქიფანიძე ბურჭულაძესთან ერთიანდებიან?







ვინ გაერთიანდება მსოფლიო ბანის კლანში, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს. ფაქტი ისაა, რომ მასთან თანამშრომლობა ყველას უნდა. თავისი მაღალი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ბურჭულაძე იოლად შეასრულებს არჩევნებზე ლოკომოტივის ფუნქციას.

გვ.4

## „პაატა ზაქარეიშვილი პუტინის ტყუპისცალია“



გვ.3

მეგი გოცირიძე: „რეინტეგრაციის მინისტრს თავისი განცხადებების გამო ენა უნდა ამოაძრო“

### პაატა ზაქარეიშვილი: „ჩემი განცხადება კონტექსტიდან ამოგლეჯილია“



გვ.5

### ლევან ბოძაშვილი: „ძნელია, დაეთანხმო სახელმწიფო მინისტრს“



გვ.5

### ჯონდი ბაღათურია: „მინიმალური პენსია 220 ლარი უნდა იყოს“



გვ.2



„ქართული დასის“ ლიდერი საპენსიო რეფორმას ითხოვს

ISSN 1987-9385



გვ.4

### „რიმყოფინე 1 ლარი და 18 თეთრი“

საკრებულოსთან აქცია — გაიმართა

### ცხინვალელებს პრეზიდენტი თიბილოვი გაეპარათ



გვ.3

### ოთარ ანგურიძე: „ნორმირებული ინფლაცია საგანგაშო არ არის“



გვ.6

# ჯონდი ბაღათურია: „მინიმალური პენსია 220 ლარი უნდა იყოს“

## „ქართული დასის“ ლიდერი საპენსიო რეფორმას ითხოვს

ნონა ცაბაძე






2016 წლის 1 ივლისიდან პენსიების 20 ლარით მატებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ საჭიროა საპენსიო რეფორმა, რომლის მიხედვითაც, პენსიის დაანგარიშების ფორმულა დაზუსტდება.

– ასეთი რეფორმის პროექტი არც ერთ პარტიას არ შეუთავაზებია საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრისთვის, გარდა „ქართული დასისა“, – აცხადებს ჯონდი ბაღათურია „ახალ თაობასთან“ საუბარში.

***– ასეთ განსაკუთრებულს რას სთავაზობთ, რაც სხვას არ უთქვამს?***

– ჩვენ ვამბობთ, რომ მინიმალური პენსია უნდა გაუთანაბრდეს საარსებო მინიმუმს!

***– და რამდენია ეს საარსებო მინიმუმი?***

– დამასრულებინეთ და გეტყვით. მინიმალური პენსია უნდა გაუთანაბრდეს საარსებო მინიმუმს და ამ მინიმალურ პენსიას, ყოველ ნამუშევარ წელიწადზე, უნდა დაემატოს ორი ლარი მაინც. ადამიანის ერთი წლის ნამუშევარი თვეში ორი ლარი მაინც არ უნდა ღირდეს?!

აქედან გამომდინარე, ფორმულა იქნება შემდეგნაირი: მინიმალურ პენსიას აიღებს ყველა, ვისაც საპენსიო ასაკი შეუსრულდა, ხოლო ვინც 10 წელი იმუშავა, იმას 20 ლარი დაემატება თვეში, ვინც 20, იმას – 40 ლარი და ასე შემდეგ. საპენსიო რეფორმა რამდენიმესაფეხურიანია. თუმცა პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საარსებო მინიმუმი.

***– რამდენი უნდა იყოს საარსებო მინიმუმი?***

– დღეს საარსებო მინიმუმი ორჯერ მეტია, ვიდრე დღევანდელი პენსია. თუ ჩვენ ავიღებთ მათივე გაანგარიშების ამ მათხოვრულ ფორმულას, ამ გაანგარიშებითაც კი საარსებო მინიმუმი 220 ლარზე ზევით ადის.

6 წელია, რაც საპენსიო რეფორმას ვითხოვთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შემუშავდეს ფორმულა და ამ ფორმულის მიხედვით ყველას კანონი განუსაზღვრავს პენსიის ოდენობას და არა – მთავრობის, ან რომელიმე ფინანსთა მინისტრის ხასიათი.

***– თქვენი გათვლებით, რამდენი ლარი უნდა იყოს პენსია, 500 ლარი?***

– სამწუხაროდ, არც ჩვენი გათვლებით გამოდის 500 ლარი. თუ რეფორმის პირველი საფეხურის მიხედვით პენსიას საარსებო მინიმუმს გავუტოლებთ, ის გამოვა 220 ლარი. ხოლო მეორე საფეხურზე იქნება – პენსია პლუს 2 ლარი, სამუშაო სტაჟის მიხედვით.

მესამე საფეხურში დაგროვებითი პენსიის ელემენტი უნდა შევიდეს, ხელფასის მიხედვით.

ამ პირველ ეტაპზე საარსებო მინიმუმი მაინც უნდა მივცეთ ხალხს, რომელიც სულ მცირე 220 ლარია. ეს ღირსეულ ცხოვრებას კი არ ნიშნავს, ეს არის არსებობის საშუალება.

***– ანუ არსებული პენსია ვერ უტოლდება საარსებო მინიმუმს?***

– სამწუხაროდ, ვერა. იმის ნახევარია დღევანდელი პენსია. ამიტომ ასე უპასუხისმგებლოდ 20 ლარის დამატება და მერე კიდევ იმის განმარტებები, რომ თურმე 1,18 თეთრად ადამიანი თავისუფლად შეიძლება გამოიკვებოს, ეს არ ვიცი, რას ჰგავს!

***– ერთბაშად ალბათ რთულია გაზრდა, ალბათ ბიუჯეტში მეტი თანხები არ არის.***

– ასე არ არის. ბიუჯეტში საამისოდ თანხები ნამდვილად არის. 420 მილიონი სჭირდება ჩვენი საპენსიო რეფორმის მიხედვით პირველი საფეხურის დაფინანსებას. ანუ პენსია გაიზარდოს საარსებო მინიმუმამდე და გახდეს 220 ლარი მაინც. მარტო ამ წელიწადში ხელისუფლების შენახვის ხარჯები გაზარდეს 220 მილიონით. ეს ზრდა რომ არ მომხდარიყო და კიდევ დამატებითი 220 მილიონით საკუთარი დროსტარების, ბანკეტების და ჯიპების ხარჯები რომ შეემცირებინათ, დაფინანსებული იქნებოდა საპენსიო რეფორმის პირველი საფეხური.

***– ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტს, რომელიც პრემიებზე უარის თქმას ითვალისწინებდა, მხარი არ დაუჭირა უმრავლესობამ.***

– არ ვიცი, ქუცნაშვილის მოღვაწეობას თვალს არ ვადევნებ. მხოლოდ პრემიებში არ მდგომარეობს საქმე. ძალიან დიდია ხელისუფლების ხარჯები! მთელი ბიუჯეტის 43% ჯდება ხელისუფლების შენახვა! წარმოგიდგენიათ, მთელი ერი მუშაობს იმიტომ, რომ რაღაც ერთი მუჭა ხალხმა დრო ატაროს! დღეს მასწავლებლის ხელფასი პენსიონერის პენსიაზე ოდნავ მეტია, ხელისუფლება კი ვეღარ ძღება!

***– ხელისუფლება ამბობდა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში ვერ გამოძებნიდა პენსიის მატებისთვის თანხებს, თუმცა მოულოდნელად შეცვალა გადაწყვეტილება. რატომ, რა შეიცვალა?***

– ჯერ ერთი, სამარცხვინოდ ცოტაა 20 ლარი. ეს არის უბრალოდ უპატივცემულობა არა მხოლოდ პენსიონერის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების. მეორეც, დააკვირდით, პენსია იმატებს 1 ივლისიდან. ექვსი თვე რომ გადის, მერე. პირველი ექვსი თვის ფული სად მიდის?!

***– ანუ თუ მატება იყო, 1 იანვრიდან უნდა გაზრდილიყო?***

– რა თქმა უნდა! ახალი ბიუჯეტი იგეგმება იანვრიდან. თავისი ხელფასების და პრემიების აღებას 1 ივლისიდან გეგმავენ?! იანვრიდან არ იღებენ პრემიას და ხელფასს?! არც საწვავს ჩაასხამენ და არც ბანკეტებს გამართავენ ივლისამდე?! აბა, პენსიონერებს რას ერჩოდნენ? ყველაზე მდიდრები არიან და პირველი 6 თვე არაფერი სჭირდებათ?!

***– რატომ მაინცდამაინც 1 ივლისიდან?***

– იმიტომ, რომ ოქტომბერში არჩევნებია და ეს უფრო ეფექტური იქნება. ფიქრობენ, რომ ამ 20 ლარად დაარბილებენ მათ მიმართ არსებულ განწყობილებას. თუმცა მე ეჭვი მეპარება, რომ ამ 20 ლარით პენსიონერების გული მოიგონ. ჩვენ აქტიურად მოვითხოვთ პენსიის საარსებო მინიმუმამდე ზრდას.

***– ეს რამდენად გამოგივათ?***

– სააკაშვილის დროიდან მოყოლებული თუკი რაიმე ზრდა მომხდარა, ყველა ჩვენმა აქტიურობამ გამოიწვია. რომ არ ყოფილიყო ჩვენი აქტიურობა, დღეს პენსია 80 ლარი დარჩებოდა. ყველა პარლამენტის სხდომას ვიწყებდი ამ მოთხოვნით. სააკაშვილი ჰპირდებოდა პენსიონერებს, რომ 2009 წლამდე მათი პენსია 100 დოლარის ექვივალენტი იქნებოდა. დღესაც არ არის 100 დოლარის ექვივალენტი.

***– ამ ბოლო მატებას ნაციონალები მიიწერენ. აცხადებენ, რომ მათ აიძულეს ხელისუფლება, გაეზარდა პენსია.***

– ეს სიცრუეა. მე დავალებული მაქვს, ამოიღონ კადრები, როგორ ჩააგდო ნაციონალურმა მოძრაობამ ჩვენი საპენსიო რეფორმა კენჭისყრის დროს. ბაქრაძე რომ გამოდის და ბევრს ლაპარაკობს, სწორედ ის იჯდა სპიკერად და ხმა არ მიუცია ამისთვის. ოპოზიციამაც კი არ დაუჭირა მხარი. სამწუხაროდ, ასეთ სამარცხვინო საქციელებს ხშირად აქვს ადგილი პარლამენტში.

ჩვენ ვიწყებთ ისევ აქტიურ კამპანიას. ამდენი წელი ვაცალეთ და ახლა აქტიურად მოვითხოვთ საპენსიო რეფორმას. არავინ არის მთავრობის მათხოვარი. ჩვენ არ გვჭირდება მათ მიერ გადმოგდებული 10 ან 20 ლარი! ჩვენ გვჭირდება საპენსიო რეფორმა!

# თბილისში 10-ის ნაცვლად, 18 მაჟორიტარული ოლქი შეიქმნება



თბილისში 10-ის ნაცვლად, 18 მაჟორიტარული ოლქი შეიქმნება. საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები, რომლითაც 73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრები იცვლება, პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

კანონპროექტს უმრავლესობაში შემავალი შვიდი ფრაქციიდან ექვსი ფრაქცია აწერს ხელს. მას ხელს არ აწერს ფრაქცია – „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები“.

საქართველოს დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალიტეტების გაერთიანების ან პირიქით – გაყოფის ან მუნიციპალიტეტთან სხვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მიერთების გზით 42 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი იქმნება, ხოლო 13 მუნიციპალიტეტის (საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის, ხაშურის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მესტიის, საჩხერის, ჭიათურის, წყალტუბოს, სენაკის, ქალაქ ზუგდიდის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტები) საზღვრები თანხვედრაში იქნება მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებთან.

მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ შედეგად, შეძლებისდაგვარად მიღწეული იქნება ხმათა თანაბარწონადობა და ამით საარჩევნო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.

ინტერპრესნიუსი

# სტოლტენბერგი: „თურქეთმა საკუთარი საჰაერო სივრცე უნდა დაიცვას“



სტოლტენბერგის თქმით, ნატო-ს ყველა ქვეყანა შეშფოთებულია რეგიონში რუსული სამხედრო პოტენციალის გაზრდით, ამასთანავე, ალიანსი მიესალმება თურქეთის ძალისხმევას, მოსკოვთან კონტაქტი დაამყაროს.

თავის მხრივ, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ანკარა არავის წინაშე ბოდიშის მოხდას არ აპირებს.

– ჩვენი საჰაერო სივრცის, სახმელეთო საზღვრის დაცვა – არა მხოლოდ ჩვენი უფლება, არამედ ჩვენი მოვალეობაა. ამისთვის ბოდიშს არავინ მოიხდის, – განაცხადა დავუთოღლუმ.

ინტერპრესნიუსი

# უსუფაშვილსა და ღარიბაშვილს განმარტებებს სთხოვენ



პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისგან და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისგან ახსნა-განმარტებას მოითხოვს

ამის შესახებ გუშინ, 30 ნოემბერს, გამართულ ბრიფინგზე „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკურმა მდივანმა, გიგლა ბარამიძემ, განაცხადა, სადაც იგი გამოეხმაურა კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის გაჟღერებულ, მისი თქმით, საგანგაშო განცხადებას, სადაც საუბარია საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანებაზე ნატოს წესდების მეხუთე პუნქტის გავრცელების ვალდებულების გარეშე.

– რა ვალდებულებები გაქვთ, ბატონებო, აღებული ასეთი დასავლეთთან და რით ვეღარ დაასრულეთ მათი შესრულება, რომ მზად ხართ, საბოლოოდ დააქციოთ და გაწიროთ ქვეყანა?! – ამ შეკითხვით მიმართა ხელისუფლებას ბარამიძემ.

მისი განცხადებით, ეს ნიშნავს, რომ რომ საქართველო მზადაა გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა, შეასრულოს ნატოს ყველა მოთხოვნა-ვალდებულება, იმ პირობითაც კი, თუ მას არ დაიცავს მეხუთე პუნქტი, რაც გულისხმობს იმას, რომ ნატო არ იქნება ვალდებული დაიცვას საქართველო ომის შემთხვევაში.

– საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ „რესპუბლიკური პარტია“ მზადაა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფასად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშეც დათანხმდეს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, გუშინ კი გაიჟღერა კიდევ ერთმა საგანგაშო და ანტისახელმწიფოებრივმა პოზიციამ.

საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილი პირდაპირ უკავშირდებოდა უსაფრთხოების გარანტიების მიღებას ამ ორგანიზაციისაგან და არა იმას, ჩვენი ჯარისკაცები იღუპებოდნენ ნატოს სამხედრო მისიებში, საქართველოში განთავსდეს ნატოს ბაზები და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, ხოლო სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, ნატო არ იყოს ვალდებული, დაგვიცვას და ჩვენ აღმოვჩნდეთ მარტონი უთანასწორო ბრძოლაში ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, – განაცხადა გიგლა ბარამიძემ.

მისი თქმით, „დემოკრატიული მოძრაობა“ კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისაგან დაუყოვნებლივ ახსნა-განმარტებას საკუთარი უმრავლესობის წევრის პოზიციასთან დაკავშირებით!

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პაატა ზაქარეიშვილი პუტინის ტყუპისცალია“

## მეგი გოცირიძე: „რეინტეგრაციის მინისტრს თავისი განცხადებების გამო ენა უნდა ამოაძრო“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის ყველაზე საშიში ძალა რესპუბლიკური პარტია, ვინ დაარტყამს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ კუბოზე ბოლო ლურსმანს, ვინ უნდა მოსთხოვოს პასუხი პაატა ზაქარეიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.

**მეგი გოცირიძე:**

– მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა გვამცნო, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილაო. ამაზე საზოგადოება სამართლიანად აღშფოთდა, თუმცა მინდა ვკითხო ხალხს, რატომ გაოცდით, რა, ეს პირველი შემთხვევაა, როცა რესპუბლიკელები აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ აღიქვამენ? მე ის უფრო მიკვირს, ეს პარტია რატომღაც პროდასავლურ ძალად რომ აღიქმება. ვინც მაგათ პროდასავლურობა დააბრალა, ისინი მანახა და ნახავთ, რასაც ვუზამდი.

რესპუბლიკელები ხომ არიან და არიან, მაგრამ ეს პაატა ზაქარეიშვილი მათშიც კი გამორჩეული ფიგურაა. მისი და პუტინის განცხადებები ერთმანეთთან სრულ თანხვედრაშია. გარეგნულადაც როგორ დაემსგავსნენ ერთმანეთს, ზაქარეიშვილი პუტინის ტყუპისცალია. რატომ ელოდით იმ ადამიანისგან საოცრებებს, რომელიც წლების მანძილზე მეცნიერული კომუნიზმის მასწავლებელი იყო. დარწმუნებული ვარ, ის, სხვა რესპუბლიკელებთან ერთად, საბჭოთა კავშირს მისტირის.

***– თუ მართლა საბჭოთა კავშირს მისტირიან, მაშინ რატომ ესიმპატიურება ეს ძალა ამერიკელებს?***

– ერთი ამერიკელი მანახეთ, რომელსაც ეს ჩვენი რესპუბლიკელები მოსწონს. ვინ უნდა მოეწონოს ვაშინგტონს, ლევან ბერძენიშვილი თუ პუტინის ტყუპისცალი ზაქარეიშვილი?!

***– ეგენი არ ვიცი, მაგრამ ხიდაშელი აშკარად მოსწონთ. როგორც ამბობენ, სწორედ აშშ-ს მოთხოვნით დაინიშნა ის სამხედრო უწყების ხელმძღვანელად.***

– აშშ-ს მოთხოვნით არა, ის. ხიდაშელის კანდიდატურა თავდაცვის მინისტრის პოსტზე მისმა ქმარმა წარადგინა, რომელიც იმავე დროს პარლამენტის თავმჯდომარეა. ეს დავით უსუფაშვილმაც აღიარა. დამიჯერეთ, რესპუბლიკელებზე საშინელი ძალა საქართველოს ჯერ არ ჰყოლია.

***– ასეთი საშინელი ხალხი თუ არის, რატომ იყავით წლების წინ მათთან ერთად ერთ კოალიციაში?***

– პირადად მე მათთან გაერთიანების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. პარტიის ლიდერი რომ ვყოფილიყავი, მათ ახლოსაც არ გავიკარებდი, მაგრამ მაშინ გადაწყვეტილება სხვებმა მიიღეს და მოგვიანებით ძალიანაც ინანეს.

ვისაც აღარ ახსოვს, შევახსენებ, რომ თავიდან რესპუბლიკელები იყვნენ კომპარტიაში, მერე ასლან აბაშიძესთან, შემდეგ არც სააკაშვილი და შევარდნაძე არ დაუტოვებიათ. ახლა ბიძინა ივანიშვილთან არიან. ყველა ხელისუფლების მოყვანასა და შემდეგ მის დამხობაში 3%-იანიც რომ არ არის, ისეთი რესპუბლიკური პარტია იღებს მონაწილეობას.

***– თუ ყველა ხელისუფალი მათ მოჰყავთ და შემდეგ ამხობენ, 3%-იანები კი არა, ძალიან მაგრები ყოფილან.***

– მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ქუჩაში ხალხი არა ოპოზიციას, არამედ ხელისუფლებას გამოჰყავს. კრემლის მიერ მართულ რესპუბლიკელებს ძალიან კარგი ალღო აქვთ და იქ აღმოჩნდებიან ხოლმე, სადაც საჭიროა. ღებულობდნენ რა მათ მიერვე მოყვანილი ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობას, ყოველი მომდევნო ხელისუფლება მათ პარლამენტში კვოტებს აძლევდა. იქიდან კი ეს უსირცხვილოები კლანებზე გვესაუბრებიან. ვის კლანზე საუბრობენ, ცოლ-ქმრის და ძმების პოლიტიკაში ერთად ყოფნა მათ მიერ არის დამკვიდრებული.

დამიჯერეთ, ხალხო, ეს ძალა საქართველოსთვის ძალიან საშიში ძალაა და სანამდე ისინი იარსებებენ, ქვეყანას არაფერი ეშველება.

***– ამ პარტიის აკრძალვას ხომ არ ითხოვთ?***

– სიამოვნებით ავკრძალავდი, მაგრამ დემოკრატი ვარ, დემოკრატია კი გვავალდებულებს, ასეთი ძალებიც ავიტანოთ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, სანამ ეგენი ბოლომდე არ ჩაირეცხებიან, ყველა ხელისუფლებას მოარგებენ გასაღებს.

***– ყველა დღემდე არსებული ხელისუფლების დამხობაში მიიღეს მონაწილეობაო და „ქართულ ოცნებასაც“ გაისტუმრებენ?***

– „ქართულ ოცნებას“ გაისტუმრებს ქართველი ხალხი. რესპუბლიკელები შეეცდებიან, იმ ხალხის გვერდით აღმოჩნდნენ და, საერთოდ, ამ საშინელ ხალხზე ამდენს ნუ მალაპარაკებთ, ნერვები მეშლება.

***– სანამ ძალიან მოგ შლიათ ნერვები, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ რესპუბლიკელებზე. გოგო თოფაძემ რომ თქვა, სტალინის სურათს ყველა დაკიდებსო, კინაღამ ჩაქოლეს, მაგრამ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებას, აფხაზეთი საქართველოსი არ იყოო, ყველა რაღაცნაირი გაგებით მოეკიდა. ეს რა ფენომენია?***

– ვინ გითხრათ, რომ მის განცხადებას გაგებით მოვეკიდე? აფხაზეთთან დაკავშირებით მას ადრეც არაერთი სულელური და ანტისახელმწიფოებრივი განცხადება აქვს გაკეთებული. ამის გამო რამდენიმე თვის წინ მას, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, სერიოზული აქცია მოვუწყვეთ. სამინისტროში მივუხტით და ისე შეეშინდა, დაიმალა. მერე გადაწყვიტა, უკანა შესასვლელიდან გამოპარულიყო. ამ ეშმაკობას მივუხვდით და იქაც გავამაგრეთ პოზიციები.

თავის გადასარჩენად შეშინებულმა ზაქარეიშვილმა ლადო სადღობელაშვილს დაურეკა. ის იქ თავის ხალხთან ერთად მოვარდა, პროვოკაცია მოგვიწყვეს, მოხდა არეულობა და ამ არეულობაში პუტინის ტყუპისცალი გაიპარა.

მეცნიერული კომუნიზმის ყოფილ მასწავლებელთან დაკავშირებით მე ჩემი პოზიცია არაერთხელ დამიფიქსირებია და მომავალშიც დავაფიქსირებ, ზაქარეიშვილს აქციებსაც ვპირდები. უბრალოდ, ძალიან მიკვირს, რატომ დუმს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა.

***– რა უნდა მოიმოქმედოს ამ ხალხმა?***

– რა უნდა მოიმოქმედოს? მივიდნენ და აქციები მოუწყონ და მისი გადადგომა მოითხოვონ. გულწრფელად მიკვირს, როგორ არ მიუვარდნენ და ამ სიტყვებისთვის ენა არ ამოაგლიჯეს. მიუხტებოდნენ კიდეც, მაგრამ ეს მეოცნებეები იმდენ სისულელეებს ამბობენ, რომ ხალხმა ისიც კი აღარ იცის, რომელი ერთი გააპროტესტოს.

ამ უნამუსო და უსინდისო ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ ხალხს და ქვეყანას მიხედონ, მიქელ-გაბრიელის ფუნქციის შეთავსება დაიწყო.

***– რას ნიშნავს მიქელ-გაბრიელის ფუნქციის შეთავსება დაიწყო?***

– იმას ნიშნავს, რომ წინასწარ კუბოებს უკვეთავენ ჩვენთვის. წარმოგიდგენიათ, ნახევარი მილიონი აქვთ კუბოების შესაძენად გამოყოფილი. ასეთ ინფორმაციას რომ მოისმენ, უკვე გიჭირს ზაქარეიშვილთან მივარდნა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# მანანა კობახიძე: „ზაქარეიშვილის განცხადებები სახიფათოა“

უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე მინისტრ ზაქარეიშვილის განცხადებას აფხაზეთთან დაკავშირებით საფრთხის შემცველს უწოდებს.



აღნიშნულთან დაკავშირებით მცირე კომენტარი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.

– მკვეთრად უარყოფითად ვარ განწყობილი ასეთი ტიპის განცხადებებისადმი. ეს საფრთხის შემცველია, რადგან გააჩნია, რას ვგულისხმობთ, – განაცხადა კობახიძემ.

დეპუტატ ანი მიროტაძის განცხადებით, აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა და არავინ შეეგუება იმ ფაქტს, რომ ის სხვა ქვეყნის კონტროლის ქვეშ იყოს.

– თუ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი არ იყო, მაშინ რატომ ვიბრძოდით აფხაზეთის ომში. მე ვიცი, რომ ჩვენ გვებრძოდა სეპარატისტული რეჟიმი და რუსეთი იმისთვის, რომ დღეს საქართველოს იურისდიქცია ვერ ვრცელდებოდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც სამწუხარო რეალობად მივიღეთ. თუმცა არავინ ამ ქვეყანაში არ შეეგუება იმას, რომ აფხაზეთი იყოს ვინმეს კონტროლირებადი ტერიტორია. ის არის საქართველოს ტერიტორია და ასე დარჩება, – განაცხადა მიროტაძემ.

ნიუსპოსტი

# ცხინვალელებს პრეზიდენტი თიბილოვი გაეპარათ

შორენა მარსაგიშვილი






ე.წ. სამხრეთ ოსეთი პატრონის გარეშე დარჩა. არა, მათ მამამარჩენალ ვ.ვ. პუტინს ჯერ არაფერი დამართნია, უბრალოდ, მათი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი სადღაც გაემგზავრა შვებულებით.

ახლა ვიღაც იკითხავთ, ამ გაგანია დეკემბერში რა დროს შვებულებაა და დასვენება თუ უნდოდა, ზაფხულში ვერ დაასვენა ხანში შესული ძვლებიო. ამ ეჭვმა ცხინვალელებსაც შეუღიტინა და ერთი მითქმა-მოთქმა არის ატეხილი.

აჟიოტაჟს საოსოში ისიც ამძაფრებს, რომ ბოლო ჟამს თიბილოვს საქმეები მთლად კარგად არ მისდის და მისი რეიტინგიც კატასტროფულად ეცემა.

როგორც ამბობენ, ცოტა ხნის წინ მან რუსეთთან მიერთების რეფერენდუმის თემა საკუთარი თავის რეკლამირებისთვის წამოსწია.

რაც შეეხება მის უდროო შვებულებას, როგორც თიბილოვის ადმინისტრაცია იტყობინება, პრეზიდენტი 2 კვირა დაისვენებს.

პრეზიდენტის პრესსპიკერი განა იანოვსკაიას განმარტებით, თიბილოვის არყოფნაში რესპუბლიკას პრემიერი უხელმძღვანელებს.

– 2 კვირის მანძილზე ქვეყნის მეთაურის მოვალეობას მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე დომენტი კულუმბეგოვი შეასრულებს, – განმარტავს იანოვსკაია.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ აკონკრეტებს, სად და როგორ აპირებს თიბილოვი ზამთრის არდადეგების გატარებას. ცხინვალელები ვარაუდობენ, რომ შვებულებიდან გამოსვლის შემდეგ ის ერს მორიგ სიახლეს შესთავაზებს.

მოახლოებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხინვალელი პოლიტიკოსები ძალიან გამოაცოცხლა. ამ არჩევნებში მონაწილეობას თიბილოვიც გეგმავს. მართალია, მან წინა არჩევნები მოიგო, მაგრამ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი არ აქვს. ამიტომაც, აქედანვე იწყებს რეიტინგზე ზრუნავს.

ადგილობრივი ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ რეფერენდუმთან დაკავშირებით განცხადება მან სწორედ ამ მიზნით გააკეთა.

მას ვალში არც ადგილობრივი პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი რჩება. საპრეზიდენტო არჩევნებში ისიც აპირებს მონაწილეობას. როგორც კი თიბილოვს სარეფერენდუმო ენებამა შეუღიტინა, ისიც გამოვარდა და განაცხადა, ეგ ჩემი პარტიის იდეა იყოო.

2 დღის წინ კი იმავე ბიბილოვი თურქეთის მიერ სომხების გენოციდის აღიარების პირობა დადო. თანაც განაცხადა, ამით რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებაზე უნდა ვიძიო შურიო.

ცხინვალში ფიქრობენ,. რომ ამით თიბილოვიც და ბიბილოვიც რუსეთისთვის ერთგულების დამტკიცებას ცდილობენ. მართალია, ორივე მათგანი სულელურ განცხადებებს აკეთებს, მაგრამ იმდენს კი ხვდებიან, რომ მოსკოვის მხარდაჭერის გარეშე ვერაფერს მოიგებენ. აქედან გამომდინარე, ორივე ცდილობს, მოსკოვს თავისი ერთგულება დაუმტკიცოს.

* * *

ცხინვალისა არ იყოს, არეული ვითარებაა როკს იქეთა საოსოშიც. რამდენიმე კვირის წინ იქაურობას საპროტესტო აქციებმა გადაუარა. ადგილობრივები მილიციის მიერ ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობას აპროტესტებდნენ.

ეს საქმე პირად კონტროლზე აიყვანა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მეთაურმა ტამერლან აგუზაროვმა. დამნაშავეების დასჯის პირობა დადო ალანთა შს მინისტრმაც.

ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებით მოსახლეობა უკმაყოფილოა. რესპუბლიკის შს მინისტრს, ეტყობა, მოსწყინდა ამდენი წყევლა-კრულვა და სამსახურის დატოვება გადაწყვიტა.

ჩრდილოელთა შს მინისტრ არტურ ახმეტხანოვისთვის სამსახურში ბოლო დღე მინისტრობის ბოლო დღე აღმოჩნდა. 30 ნოემბერს მან ტამერლან აგუზაროვს გადადგომის შესახებ განცხადება აახლა.

როგორც ვლადიკავკაზური სააგენტოები წერენ, რესპუბლიკის მეთაურმა ახმეტხანოვს სთხოვა, ცოტა ხანს კიდევ მოიცადეო, მაგრამ იმას ქვა აუგდია და თავი შეუშვერია.

ჯაჭვებით დაბმული მინისტრი ვის გინახავთ და აგუზაროვმაც მოუწერა განცხადებაზე ხელი.

შს მინისტრის მოვალეობას ელბრუს რამონოვი შეასრულებს.

აწ უკვე ნამინისტრალის წასვლას ბევრი ჭორი მოჰყვა. რესპუბლიკის მთავრობას მასთან კონტრაქტი 2018 წლის ბოლომდე ჰქონდა გაფორმებული.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ახმეტხანოვის მუშაობით ყველა კმაყოფილი იყო და ის ძლიერ შს მინისტრად მიიჩნეოდა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თარგამაძე, დავითაშვილი და ლორთქიფანიძე ბურჭულაძესთან ერთიანდებიან?

შორენა მარსაგიშვილი





საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელიც აღარ არის დარჩენილი და ქართულ პოლიტიკაში დიდი ტრანსფერების სეზონი დაიწყო. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ნაახალწლევს პარტიებიდან პარტიებში დიდი გადასვლა დაიწყება.

ამ მხრივ ყველაზე მიმზიდველად კოალიცია „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა გამოიყურებიან. სხვა სუბიექტებისგან განსხვავებით, მათ საარჩევნო ბარიერის გადალახვა გარანტირებული აქვთ.

ამ ორეულს ახლახან პაატა ბურჭულაძე და მისი ფონდი დაემატნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიო ბანთან პოლიტიკოსებს გაცხოველებული მოლაპარაკებები აქვთ.

მართალია, ჯერ პოლიტიკაში ოფიციალურად არ შემოსულა, მაგრამ ბურჭულაძის ფონდი უკვე აკურთხეს მესამე ძალად. აქედან გამომდინარე გასაკვირი არა, რომ პოლიტიკოსებს მის გარშემო სურთ გაერთიანება.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ პაატა ბურჭულაძესთან მოლაპარაკებებს აწარმოებს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ყოფილი თავკაცი გიორგი თარგამაძე. ეს უკანასკნელი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაუჩინარდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიო ბანთან აპირებს გადაბარგებას კობა დავითაშვილიც, რომელიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ პროცესებში აღარ ჩარეულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ დეპუტატის მანდატი დაიტოვა და დეპუტატის ხელფასსაც იღებს.

„ახალი თაობისთვის“ ასევე ცნობილი გახდა, რომ ბურჭულაძესთან შესაძლო მოლაპარაკებებისთვის მზად არის ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე. ეს უკანასკნელი ამ მომენტისთვის დემოკრატიულ მოძრაობაში ირიცხება.

სარწმუნო წყაროსგან შევიტყვეთ, რომ მას ეს პარტია ფაქტიურად დატოვებული აქვს და მალე ახალ პარტიაში გააგრძელებს მოღვაწეობას. ის, სავარაუდოდ, ხალხის პარტიას ჩაუდგება სათავეში. ეს პარტია ოდესღაც კობა დავითაშვილთან იყო დაკავშირებული.

პაატა ბურჭულაძესთან მოლაპარაკებებს სხვებიც აქტიურად აწარმოებენ. ბურჭულაძის გარემოცვა აქტიურად ავრცელებს ხმებს, რომ მსოფლიო ბანი პატრიარქის კურთხევით მიდის პოლიტიკაში. იმაზეც საუბრობენ, რომ ის ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის პროექტია.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საპატრიარქოს, ექსპრემიერს და ექსპრეზიდენტს გადამწყვეტი სიტყვა ეთქმით პოლიტიკაში, რა გასაკვირია, ბურჭულაძე მორწმუნე, მომიშისტო და მობიძინისტო პოლიტიკოსებისთვის მიმზიდველი რომ არის.

ვინ გაერთიანდება მსოფლიო ბანის კლანში, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს. ფაქტი ისაა, რომ მასთან თანამშრომლობა ყველას უნდა. თავისი მაღალი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ბურჭულაძე იოლად შეასრულებს არჩევნებზე ლოკომოტივის ფუნქციას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არც ერთ პარტიას აღარ ენდობა და მათთვის მსოფლიო ბანი, შესაძლოა, მისაღები აღმოჩნდეს.

## პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე მუშაობას უკვე შეუდგა. მან პროკურატურაში პირველი საკადრო ცვლილებები განახორციელა.

ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.



საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ მამუკა ვასაძე დაინიშნა, რომელიც მანამდე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანამდებობას იკავებდა. მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს კი დღეიდან თეიმურაზ ნაჭყებია უხელმძღვანელებს.

ცვლილება განხორციელდა მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დეპარტამენტშიც, დეპარტამენტის უფროსის პოსტზე ბაკურ აბულაძე დაინიშნა.

რაც შეეხება პროკურატურის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას, ამ პოსტს ნათია სუხიაშვილი დაიკავებს.

ცვლილებები შეეხო ასევე საოლქო პროკურატურის ოფისებს, კერძოდ, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე ლევან პაქსაშვილი დაინიშნა, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორად კი – მალხაზ კაპანაძე.

ნიუსპრესი

## პრემიერი პარიზში მსოფლიო ლიდერებს მიესალმა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარიზში, გაერო-ს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის გახსნამდე, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტს დონალდ ტუსკს, ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინს,



თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანს, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს, ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს, კანადის პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრიუდოს, ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრ მარკ რუტეს, ესტონეთის პრემიერ-მინისტრ ტაავი რიივასს, ბულგარეთის პრეზიდენტ როსენ პლევნელიევს, მოლდოვას, პანამის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, ავღანეთის, მონტენეგროს, კვიპროსის პრეზიდენტებს, ირლანდიისა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრებს მიესალმა.

გაერო-ს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენცია პარიზში გუშინ, 30 ნოემბერს გაიხსნა.

კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ლიდერები ლე ბურჟეს საგამოფენო ცენტრში შეიკრიბნენ.

პარიზი 150-მდე ქვეყნის ლიდერებს მასპინძლობს.

ნიუსპრესი

## „რიმყოფინე 1 ლარი და 18 თეთრი“

### საკრებულოსთან აქცია – გაიმართა

„რიმყოფინე 1 ლარი და 18 თეთრი“, – ამ სახელწოდებით თავისუფალი დემოკრატების ახალგაზრდულმა ფრთამ თბილისის საკრებულოსთან აქცია გამართა.



ახალგაზრდებს საკრებულოსთან მიტანილი ჰქონდათ ერთჯერად თეფშებზე დაწყობილი 1 ლარი და 18 თეთრი ღირებულების საკვები პროდუქტი – ერთი ნაჭერი პური, ერთი ნაჭერი ძეხვი და ერთი ცალი ორცხობილა.

აღნიშნულით აქციის მონაწილეები საკრებულოს წევრის რიმა ბერაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურნენ, რომლის მიხედვითაც სოციალურად დაუცველი ადამიანის გამოსაკვებად დღეში 1 ლარი და 18 თეთრი საკმარისია, რადგანაც მასში აუცილებელი კალორიულობა შედის.

– სირცხვილია, როდესაც რიმა ბერაძე 1 ლარს და 18 თეთრს მიიჩნევს საკმარისად ადამიანის დღიური რაციონისთვის. სწორედ ამიტომ, საკრებულოში შესვენების დროს, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მოვიტანეთ 1 ლარი და 18 თეთრის ღირებულების საკვები, რომელიც შეადგენს ელემენტარულად პურს და ძეხვს. გვინდა, მათ ვკითხოთ, საკმარისია თუ არა მათთვის ეს დღიური ნორმა, – განაცხადა თავისუფალი დემოკრატების თბილისის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ქადაგიშვილმა.

ნიუსპრესი

# „პაატა ზაქარეიშვილი პუტინის ტყუპისცალია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ეს უსირცხვილოები ჩვენს კუბოებს უკვეთავენ და ვერ ეღირსებიან იქ ჩვენს ნახვას. პოლიტიკურ მოუსავლეთში ეგენი ბევრად მალე წავლენ. მათ პოლიტიკურ კუბოზე ლურსმანს თავად მეოცნებეები დაარტყამენ. მათი განცხადებები სწორედ რომ ჩასარჭობი ლურსმნებია.

მათ მიერ გაკეთებული ყველა სულელური განცხადება რომ ჩამოვთვალო, მთელი გაზეთი არ გვეყოფა. მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოგიყვანთ.

მილიონერი ზურაბ ტყემალაძე გამოვიდა და თქვა, პენსიონერს კი არ უნდა ეყოს 160 ლარი, პენსიონერი უნდა ეყოს 160 ლარსო.

მას გუგული მაღრაძე როგორ ჩამორჩებოდა და ამ ქალმა გარე მოვაჭრე გამოლანძღა, ქუჩაში რას ზიხარ, შვილებმა გარჩინონო. თავისი შვილი რატომ არ არჩენს გუგულის? მის შვილს 15.000 აქვს ხელფასი. არ რცხვენია, ამხელა ასაკის ქალს პარლამენტში რომ ამუშავებს? მაღრაძეს არ რცხვენია და უსირცხვილოდ ეუბნება მშიერ ხალხს, საბანი სადამდეც გწვდებათ, იქამდე დაიხურეთო. ამას ამატებს, თავმოყვარე ადამიანმა 2.000 ლარზე ნაკლები ხელფასი არ უნდა აიღოსო.

ამათი გვირგვინი იყო რაიკომის ყოფილი მდივნის რიმა ბერაძის განცხადება, საკრებულოს დეპუტატმა უტიფრად განაცხადა, ადამიანს ერთ დღეში საკვებად 1,18 ლარი ეყოფაო.



***– შემდეგ განმარტა, რომ უფასო სასადილოების ბენეფიციარებზე თქვა.***

– მით უარესი მაგისთვის, თუ ამ გაუბედურებულ ადამიანებზე თქვა. თავად აღარ იციან, სად შეიტენინ პრემიები და დანამატები და გაუბედურებული ადამიანებისთვის დღეში 1,18 ლარი ემეტებათ. ეს რომ ნორმალური ქვეყანა იყოს, დავით სერგეენკო კარგა ხნის გადაყენებული უნდა იყოს.

***– სერგეენკოს რაღას ერჩით?***

– რას ვერჩი? ის ადამიანი მარტო ჯანდაცვის მინისტრი არ არის და მას სოციალური სფეროც აბარია. მისი ხელმოწერით ათასობით ადამიანს გაუუქმდა სოციალურად დაუცველის სტატუსი. ეს იცით, რას ნიშნავს?

***– რას ნიშნავს?***

– ადამიანი თუ ამ ბაზაში არ არის შეყვანილი, სოციალურად დაუცველთა სასადილოთი ველარ ისარგებლებს. ეს იცით, რა უბედურება და ტრაგედიაა ამ ადამიანებისთვის? ამ ადამიანებს ტრანსპორტზეც ჰქონდათ შეღავათები და კომუნალურ მომსახურებაზეც. სტატუსის შეჩერების გამო, ესეც წაართვეს. ისინი შიმშილით და სიცივით სიკვდილისთვის გაწირეს. სამაგიეროდ, ნახევარი მილიონის კუბოები ხომ შეუკვეთეს. ამ კუბოებს, ხომ იცით, რომელი ხეებისგან ამზადებენ? ახლა რომ ჭრიან თბილისში.

უფასო სასადილოების იდეა მიშა სააკაშვილს ეკუთვნის. ამ საქმეში მეც ვიყავი ჩართული და ვერც კი წარმოიდგენთ, რა დონეზე გაჭირვებული ადამიანები მოდიოდნენ აქ. ამ ადამიანებს რომ დახმარებას შეუწყვეტ, ადამიანი არ უნდა იყო.

უამრავი ადამიანი დარჩა ბინის გარეშე, ამ ხალხს არც ფული აქვს, რომ სახლები იქირაოს და ძალიან მალე თბილისში კარვების ქალაქი გაიშლება.

***– დღეს უფასო სასადილოებით რამდენი ადამიანი სარგებლობს და მართლა საკმარისია თუ არა ერთი ადამიანის გამოსაკვებად 1.18 ლარი?***

– 1.18 ლარი არ არის საკმარისი. უფასო სასადილოების ბენეფიციართა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2014 წელს თბილისში 13.200 ბენეფიციარი იკვებებოდა უფასო სასადილოში. წლის ბოლო კვარტალში დამატებით 9.500 ადამიანმა გამოთქვა ამ დახმარების სურვილი. მხოლოდ 5.300 ადამიანი დააკმაყოფილეს.

2015 წელს თბილისი 23.000 ბენეფიციარით შეხვდა. მომავალი წლის ბიუჯეტის მიხედვით, მათი რაოდენობა 32.000-მდე არის ასული. ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ყველაზე კატასტროფული ვითარება გლდანსა და სამგორშია. იქ 12.000-მდე მოქალაქე იკვებება უფასო სასადილოში.

ამ უნამუსოებს გაჭირვებული ადამიანებისთვის სოციალური დახმარება არ ემეტებათ, სამაგიეროდ, საზოგადოებრივი ტუალეტისთვის 100.000 ლარი აქვთ გამოყოფილი.

***– საზოგადოებრივი ტუალეტიც ხომ საჭიროა?***

– ვისთვის არის საჭირო, ყაჩაღებისთვის? ცოტა ხნის წინ კოლმეურნეობის მოედანზე ტუალეტი დააყაჩაღეს და ხალხი იქიდან ჩახდილი გამორბოდა.

# პაატა ზაქარეიშვილი: „ჩემი განცხადება კონტექსტიდან ამოგლეჯილია“

სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა აფხაზეთთან დაკავშირებით მისი მოსაზრების შესახებ დამატებითი განმარტებები გააკეთა.

როგორც ზაქარეიშვილი აცხადებს, მისი ნათქვამის გავრცელება კონტექსტიდან ამოგლეჯილად მოხდა. მინისტრის თქმით, საუბარი საქართველოს ფედერაციული მოწყობის საკითხს ეხებოდა, რომელსაც გარკვეული წლების წინ თავად ნაციონალური მოძრაობის წევრებიც ეთანხმებოდნენ.

– ეს განცხადება არ არის, ეს არის კომენტარი, რომელიც გაკეთდა კავკასიური სახლის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე, ამას ესწრებოდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრებიც. იყო მსჯელობა, როგორ ვხედავთ კონფლიქტების მოგვარებას.

მე ვამბობ, რომ მას შემდეგ, რაც მოგვარდება ნდობის აღდგენის, ეკონომიკური ურთიერთობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები, ბოლო ეტაპზე მე პირადად ასე ვხედავ პრობლემის მოგვარებას და არა მარტო მე, ნაციონალური მოძრაობის ბევრი წარმომადგენელიც, მათ შორის კუბლაშვილი, დავით დარჩიაშვილი, დავით ბაქრაძე, როცა ერთად ვწერდით კონცეფციას 2004 წელს, ჩვენ ასე ვხედავდით, ახლა არა ვიცი, როგორ ხედავენ ისინი.

ჩვენ ერთი დოკუმენტი გამოვეცით მაშინ, 2004 წლის ივნისში და დაიბეჭდა. კანდელაკი მაშინ არ ვიცი სად იყო, არ მიცნობს საერთოდ. ეს ფრაზა, რაც კომენტარიდან იყო, არის ამოგლეჯილი. ეს არის დიდი ციტატის ნაწილი. ამიტომ ვერიდები კომენტარებს და მირჩევნია პირდაპირი ეთერი, რომ მკაფიოდ ჩამოვაყალიბო ჩემი პოზიცია, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

როგორც სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, მისი ნათქვამი, რომ „აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა“ ეხებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს.

**პაატა ზაქარეიშვილი:**

– მე ვამბობდი, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემდეგ არავითარი გამოცდილება არ გააჩნია აფხაზებთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრების, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სახელმწიფო სივრცეში. შესაბამისად ჩვენ გვჭირდება შევიმუშაოთ ახალი სისტემა აფხაზებთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრების, რადგან აღარ გვინდა საბჭოთა კავშირის დროინდელი. საქმე ისაა, რომ ჩვენ კედლები სახელმწიფოსი გვაქვს, შიგნით ოთახების მოწყობა ჩვენ არა გვაქვს, ოთახების კი არა, სართულების მოწყობაც არ გვაქვს. ჩვენ გვაქვს სახლი, სადაც არ არის არანაირი მოწყობა.

ჩვენ სახელმწიფო ვართ და კეთილი უნდა ვინებოთ და ჩამოვაყალიბოთ ისეთი ფორმატი, რომელიც განსხვავებული იქნება იმ სისტემისგან, რომელიც იყო საბჭოთა კავშირის დროს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო ომი და ჩვენ არ შეგვიქმნია არანაირი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც აფხაზები და ქართველები ერთად შექმნიდნენ. ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპულ ფედერაციაზე, თუმცა ეს დღეს დღის წესრიგში არ არის, რადგან სახელმწიფო მოწყობა კონფლიქტების მოგვარების ბოლო ეტაპია.



მისი წინა ეტაპებია შერიგების პროცესი, ნდობის აღდგენა, ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, უსაფრთხოების მოგვარება. ჩვენმა მთავრობამ აიღო ვალდებულება, რომ გაიაროს ეს ეტაპები – ნდობის აღდგენის, ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის. სახელმწიფოებრივი მოწყობის ეტაპი უკვე შემდეგი მთავრობის იქნება, ჩვენ ვიქნებით თუ სხვა. ამ ფედერაციულ მოწყობას არ ეწინააღმდეგებოდა ენმ-ს არც ერთი წევრი, რომელსაც მე ვიცნობ.

* * *

პაატა ზაქარეიშვილმა კავკასიური სახლის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხზე ისაუბრა და საუკეთესო ვარიანტად ფედერაციული მოწყობა მიიჩნია. ამასთანავე მინისტრმა უახლეს ისტორიაში საქართველო-აფხაზეთის ერთ სახელმწიფოში ცხოვრების გამოცდილების არქონასაც გაუსვა ხაზი:

– ჩვენ გვაქვს ერთადერთი გამოცდილება აფხაზეთთან ერთად სახელმწიფოს მოწყობისა – ეს არის საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი და სხვა გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა. ჩვენს თაობას არ გვახსოვს, ყოველ შემთხვევაში, ანუ დღევანდელ ევროპულ რეალობაში ეს არ ყოფილა. ამიტომ, გვინდა ერთია და როგორ ვაპირებთ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას, მეორე და საზოგადოება ამაზე უნდა მსჯელობდეს, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

შეგახსენებთ, ენმ-მ პაატა ზაქარეიშვილი არაკომპეტენტურობასა და ანტისახელმწიფოებრივი განცხადების გაკეთებაში დაადანაშაულა. როგორც პარტიაში მიიჩნევენ, ივანიშვილის გუნდს საქართველოს მომავლის ხედვა და რწმენა არ გააჩნია. მათი თქმით, ზაქარეიშვილი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის საპასუხო პოლიტიკის ნაცვლად, საზოგადოებას ბედის შეგუებისაკენ მოუწოდებს.

საქართველოს მთავრობის წევრის მიერ გაკეთებული ეს განცხადება არის უაღრესად სახიფათო, რადგან იმეორებს ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ შეთხზულ ლეგენდას, თითქოს თანამედროვე ეპოქაში საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის მოხვედრა საბჭოთა კავშირის „დამსახურებაა.“ ამ ლეგენდის მიზანი კი საქართველოს სუვერენიტეტის დელეგიტიმაციაა. რუსეთის და მისი მარიონეტების მიერ სწორედ ეს ლეგენდა გამოიყენებოდა 1992-1993 წლებში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომის და აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდის გასამართლებლად,“ – ნათქვამია ენმ-ს განცხადებაში, რომელიც გიორგი კანდელაკმა გაახმოვანა.

**ნიუსპოსტი**

# ლევან ბოძაშვილი: „ძნელია, დაეთანხმო სახელმწიფო მინისტრს“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებაზე კომენტირებისას უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ლევან ბოძაშვილმა განმარტება გააკეთა.

2014 წლიდან აფხაზეთის და, ზოგადად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხებზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის გამართვისა და კონსენსუსის მიღწევის მცდელობა არაერთხელ იყო სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან.



**ლევან ბოძაშვილი:**

– საქართველოს პრეზიდენტმა ამ თემაზე ათამდე შეხვედრა გამართა. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს, როგორც საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების (ნაცმოძრაობა, თავისუფალი დემოკრატები), ასევე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების (ახალი მემარჯვენეები, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, ედპ, თავისუფალი საქართველო, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს ევროპელი დემოკრატები, პატრიოტთა ალიანსი, საქართველოს გზა, ტრადიციონალისტთა კავშირი, ქართული დასი) წარმომადგენლებმა, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და ცხინვალის რეგიონის /სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა, ექსპერტებმა და კონფლიქტოლოგებმა, ანუ პრაქტიკულად ყველამ, ვინც აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობს და ვისი მოსაზრება და იდეები შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების შეცვლის თვალსაზრისით.

ამ კონსულტაციების შედეგები გარკვეულწილად აისახა პრეზიდენტი ყოველწლიურ მიმართვაში პარლამენტს ა.წ. 31 მარტს, – აცხადებს ლევან ბოძაშვილი.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის თქმით, საქართველოს პრეზიდენტის მიიჩნევს, რომ ამგვარ პროცესს ხელი უნდა შეეწყო ზუსტად იმ მიზნისთვის, რასაც პაატა ზაქარეიშვილი მიუთითებს – „პოლიტიკურ ძალთა და საზოგადოების ერთიანობისა და კონსოლიდირებული საერთო ეროვნული მიდგომის ჩამოყალიბებისთვის“.

– სამწუხაროდ, ერთადერთი პოლიტიკურტი ჯგუფი, რომელმაც არ მიიღო პროცესში მონაწილეობა, მმართველი პოლიტიკური კოალიცია აღმოჩნდა.

კოალიციის წარმომადგენლებს – საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის წევრებს, საქართველოს პრეზიდენტის არაერთი მიწვევის მიუხედავად, არც ერთხელ არ მიუღიათ მონაწილეობა საკონსულტაციო შეხვედრებში, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს პოლიტიკის შეჯერებას ეძღვნებოდა, – აცხადებს ბოძაშვილი.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის თქმით, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან ერთად მზად არის, განაგრძოს კონსულტაციები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით კონსოლიდირებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით და შეხვდეს მმართველი კოალიციის წარმომადგენლებს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყნის ფედერაციული მოწყობის საკითხის განხილვა დღევანდელი მთავრობის დღის წესრიგში არ დგას.

ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მოგვარების გზებზე სათანადო დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს და არა ის, რომ „სახელმწიფო მინისტრი რაღაცას იტყვის და საზოგადოება არ მიჰყვება“.

საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაჟღერებული იდეა, საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ, სადაც აფხაზეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება, ზაქარეიშვილის თქმით, მისი პირადი პოზიციაა და ამის თაობაზე მთავრობის შიგნით კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# გიგი წერეთელი: „20 ლარით გაზრდილ პენსიას ინფლაცია და მაღალი ფასები შეჭამს“



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გიგი წერეთელის განცხადებით, 7 თვის შემდეგ 20 ლარით გაზრდილ პენსიას ისევ ინფლაცია და მაღალი ფასები შეჭამს.

გიგი წერეთელი პარლამენტში 2016 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარდგენასა და პენსიების 20-ლარიან ზრდას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს პარტიის აქტიურობის შედეგია.

– 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში, სამწუხაროდ, პენსიების 50-ლარიანი ზრდა გათვალისწინებული არაა. მთავრობას ამის რესურსი ჰქონდა, მაგრამ ის ვერ ელევა თავის ბიუროკრატიულ ხარჯებს, ფუფუნებას, კომფორტს. არ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ გადაიტანენ ამ ზამთარს ჩვენი პენსიონერები. მათ მხოლოდ იმას ჰპირდებიან, რომ პენსია 7 თვის შემდეგ გაიზრდება და ისიც 20 ლარით.

სამწუხაროდ, პროგნოზები დადებითი არაა და ამ 20 ლარს ისევ ინფლაცია და მაღალი ფასები შეჭამს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მეტი აქტიურობა, ჩვენ ვნახეთ, რომ მთავრობა პენსიების გაზრდაზე უარს ამბობდა, მათი თქმით, ჩვენი ეს მოთხოვნა პოპულისტური იყო, მაგრამ შემდეგ მოინახა ეს 20 ლარი, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

მისივე თქმით, ნაციონალები გააგრძელებენ კამპანიას, რათა ხელისუფლება აიძულონ და პენსიის 50 ლარით ზრდა მოხდეს.

**ბიპიენი**

# სილქნეტი საინფორმაციო ცენტრებს მომხმარებლებს ართმევს




სილქნეტი საინფორმაციო ცენტრებს, 08-სა და 09-ს, მომხმარებელს ართმევს.

ახალი სერვისის გამოტანიდან 5 თვის თავზე, კომპანია დაბალ ტარიფებს ინარჩუნებს და მომხმარებელს, კონკურენტებთან შედარებით, თითქმის 7-ჯერ ნაკლებ ფასებს სთავაზობს.

ბაზარზე საინფორმაციო მომსახურების სერვისი 118-18 ხუთი თვეა, ამოქმედდა. 18 თეთრად შესაძლებელია ფიქსირებული ქსელიდან დარეკვის შემთხვევაში ერთი ინფორმაციის, ხოლო მობილური ქსელიდან დარეკვის შემთხვევაში ორი ინფორმაციის მიღება. მოთხოვნილ ინფორმაციას დაინტერესებული პირი მოკლე ტექსტური შეტყობინებითა და ელექტრონული ფოსტითაც იღებს.

როგორც სილქნეტში აცხადებენ, 118-18-ის მომსახურებით უფრო მეტად ორგანიზაციები ზოგავენ დროს და ბიუჯეტს. დამატებითი კოდის გარეშე, 118-18-ის აკრეფვისას, ცენტრი ოპერატიულ მომსახურებას უწევს ყველა მსურველს 24 საათის განმავლობაში.

ფიზიკური პირების და ორგანიზაციების მომსახურების საფასური არ განსხვავდება და ის ყველასთვის 18 თეთრია.

რა შეცვალა ამ ბაზარზე 7-ჯერ იაფი მომსახურების შემოსვლამ?

09-ის ადმინისტრაციასთან დაკავშირება „კომერსანტმა“ ვერ მოახერხა, 08-ში კი შეკითხვაზე პასუხის გაცემის პირობა მოგვცეს, თუმცა მათი კომენტარის მოპოვება ვერ მოვახერხეთ.

**კომერსანტ.გე**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ოთარ ანგურიძე: „ნორმირებული ინფლაცია საგანგაშო არ არის“

## „საჭიროა მეტი კომუნიკაცია ეროვნულს ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ საუბრობს.

**ოთარ ანგურიძე:**

– კანონპროექტიდან ჩანს, რომ მთავრობა აღებული კურსის ერთგულია. ვგულისხმობ იმას, რომ ბიუჯეტი სოციალურად არის ორიენტირებული. რეგიონებს, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებს, ეზრდებათ დაფინანსება. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ არ მოხდეს ქალაქში მოსახლეობის დიდი კონცენტრაცია. ასევე ჩვენი მოქალაქეები არ იყვნენ ორიენტირებული ქვეყნის გარეთ გასვლაზე, რომ მათ ოჯახებს შემოსავლის წყარო გაუჩნდეთ.

***– ბევრი განსხვავებული აზრია ბიუჯეტის პარამეტრებთან დაკავშირებით. უნდა იყოს თუ არა ის ამდენად სოციალურად ორიენტირებული?***

– დიახ, ბევრი მოსაზრებაა იმასთან დაკავშირებით, უნდა ხარჯავდეს თუ არა ხელისუფლება ბიუჯეტის დაახლოებით ერთ მესამედს ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს კვლავ არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლად გაართვას თავი თუნდაც საკუთარ ჯანდაცვას. ამ შემთხვევაში სწორედ სახელმწიფოს მართებს მეტი მობილიზება და ყურადღება, რომ მისი მოქალაქეები სოციალურად იყვნენ დაცულები. დღეს საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ მკურნალობა, ოპერაციების გაკეთება და ამ ხარჯებს სახელმწიფო უზრუნველყოფს. ეს დიდი პროგრესია. ნაბიჯი არის გადადგმული სოციალური თანასწორობისკენ.



***– სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი უფრო მემარცხენე ტიპის ხელისუფლებისთვის არის დამახასიათებელი. ეს ქვეყანაში უფრო მეტ ინფლაციას ხომ არ გამოიწვევს? უფრო მეტ უმუშევრობას?***

– როდესაც ხელისუფლება სოციალურ ხარჯებს ზრდის, განსაკუთრებით, როდესაც ზრდის პენსიას, მაშინ უფრო მეტია ინფლაციის დონეც და ფასების ზრდაც. მეორე საკითხია, რამდენად მზად ხვდება ქვეყნის ეკონომიკა ამ პროცესს. როდესაც ხელისუფლება და ეროვნული ბანკი ამ პროცესს მომზადებული ხვდებიან, მაშინ ფასების და ინფლაციის ზრდის რისკი დაბალია.

***– მომზადებაში რას გულისხმობთ?***

– მათ უკვე წინასწარ აქვთ ინფორმაცია, რა პერიოდში რა ფულის მასა შეიძლება გავიდეს ეკონომიკაში. მათ შეუძლიათ გააკეთონ წინასწარი დასკვნები, რა პერიოდში რა ოდენობის რისკი შეიძლება წარმოიშვას ამ მიმართულებით ეკონომიკაში.

***– რისკების წარმოქმნის შემთხვევაში მათი ქმედება რა უნდა იყოს?***



– მათ წინასწარ შეუძლიათ განახორციელონ ჩარევის მექანიზმები. მათ შორის, ლარის მასის უკან ამოღება მიმოქცევიდან. ასევე ეროვნული ბანკი მოქმედებს მონეტარული პოლიტიკის შესაბამისად. ამდენად, როდესაც ეს ორი ინსტიტუტი კოორდინირებულად მოქმედებს, მაშინ ასეთი რისკები ქვეყანაში ყოველთვის დაბალია.

თუ უფრო გაიზრდება კომუნიკაცია ეროვნულ ბანკსა, ხელისუფლებასა და ფინანსთა სამინისტროს შორის, ინფლაციის რისკი ძალიან დაბალი იქნება.

***–ეროვნულმა ბანკმა რა ნაბიჯები უნდა გადადგას?***

– პირველ რიგში, უნდა გადადგას კომუნიკაციის თვალსაზრისით მეტი ნაბიჯი. ეს ეხება როგორც ხელისუფლებასთან, ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციას. როდესაც ლარის კურსი ეცემოდა, მაშინ ეროვნული ბანკი არ გამოდიოდა და საზოგადოებას განმარტებებს არ აძლევდა, არადა, ეს მისი მოვალეობაა. საზოგადოებასთან რომ ჰქონოდა ეროვნულ ბანკს აქტიური კომუნიკაცია, ასეთი უცაბედი გაუფასურებები არ გვექნებოდა.

***– პენსიის გაზრდა რამდენად გამოიწვევს ფასების ზრდას?***

– ნებისმიერი ბიუჯეტი დგება წინასწარ ფასების ზრდაზე გათვლილად, მაგრამ გარკვეული პროცენტით. ქვეყნის ეკონომიკისთვის კარგია, რომ ნორმირებულად, წლიდან წლამდე იზრდებოდეს ინფლაცია დაახლოებით 3-5%-ით. ფასების ნორმირებული ზრდა ჩვეულებრივი მოვლენაა ეკონომიკისთვის. ამიტომ, თუ ნორმირებული იქნება ინფლაცია, ეს საგანგაშო არ არის. პირიქით, კარგიც იქნება, თუ ამას სტიმულირებას გაუკეთებს ხელისუფლება. ინფლაცია საშიშია ქვეყნისთვისაც და მისი მოსახლეობისთვისაც, როდესაც ის ნორმირებული არ არის.

***– როდესაც ხელოვნურად ხდება, გასაგებია, რომ მისი კონტროლი ხდება, მაგრამ როდესაც ბუნებრივად ხდება ინფლაცია, მაშინ?***

– ბუნებრივის გაკონტროლებაც თავისუფლად შეიძლება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის პროგნოზირებით, რომელსაც, ერთის მხრივ, ფინანსთა სამინისტრო იყენებს, მეორე მხრივ – ეროვნული ბანკი.

პროგნოზირების მოდელების შესაბამისად თავისუფლად არის შესაძლებელი განსაზღვრო, თუ, რასაკვირველია, არ იქნება შოკური შეტევები, როგორებიც ჩვენ რამდენჯერმე უკვე გვქონდა. სწორედ ეს შოკური შეტევები იყო კომუნიკაციის ნაკლებობის შედეგი. რაც შეეხება კონკრეტულად ამ შემთხვევას, მარტივად არის დასარეგულირებელი, თუ იქნება მჭიდრო კავშირი ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის.

***– ამ პროცესს რამდენად გაუძლებს ჩვენი ეკონომიკა?***

– ეკონომიკას ამის შესაძლებლობა რომ არ ჰქონდეს, მაშინ არც იმის შესაძლებლობა ექნებოდა, რომ ხელისუფლებას სოციალური ხარჯების ზრდა მოეხდინა.

მნიშვნელოვანია, რომ ფინანსთა სამინისტროს გადასახადებისა და შემოსავლების ნაწილის ზრდა აქვს გათვალისწინებული. ხელისუფლება მზად არის, შემოსავლების ნაწილიდან დააფინანსოს ბიუჯეტის სოციალური მიმართულება.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხელისუფლება აქცენტს აკეთებს შემოსავლების ნაწილის გაზრდასა და მის მობილიზებაზე.

## ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალი 2016 წლის ბოლომდე ამუშავდება

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო სისტემებს გააერთიანებს, 2016 წლის ბოლომდე შევა ექსპლუატაციაში.

ამის შესახებ ტრასეკას მდივანმა აზერბაიჯანში აკიფ მუსტაფაევმა განაცხადა.

– პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები კვლავ დარჩენილია, კერძოდ, თურქეთის ტერიტორიაზე. აზერბაიჯანს ამ ეტაპისთვის დიდძალი თანხები აქვს დახარჯული პროექტის რეალიზებაზე. საუბარია, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებზე, ასევე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კაპიტალურ რემონტსა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაზე. ჩვენი გეგმებით, ახალი სარკინიგზო მაგისტრალი მომავალი წლის ბოლომდე ამუშავდება, – განაცხადა მუსტაფაევმა.




ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი – 2008 წელს.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის შეთანხმებას ეფუძნება.

აზერბაიჯანმა მაგისტრალის ქართული ნაწილის მშენებლობისთვის 775 მილიონი დოლარი გამოყო.

ბაქო-თბილსი-ყარსიის პროექტის ფარგლებში, ახალი 105 კილომეტრიანი სარკინიგზო ხაზის მშენებლობაც იგეგმება. ამასთან ერთად, პროექტის ფარგლებში, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ახალქალაქი-მარაბდა-თბილისის რკინიგზას.

რეკონსტრუქციის შემდეგ გაუმჯობესდება რკინიგზის გამტარუნარიანობა და ის წელიწადში 15 მილიონი ტონის გადაზიდვას შეძლებს.

**ბიპიენი**

## საქართველოდან 1.200 ტონა მანდარინი გავიდა



მანდარინის კრეფა აქტიურ ფაზაში რამდენიმე დღის წინ შევიდა და შეუფერხებლად მიმდინარეობს როგორც სტანდარტული, ისე არასტანდარტული მანდარინის ჩაბარების პროცესიც.

უკვე ექსპორტირებულია 1.200 ტონა მანდარინი. მოთხოვნა არის მზარდი და ბაზარზე ახალი ტრეიდერებიც ჩნდებიან.

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ აჭარაში ყოფნისას განაცხადა, სადაც აჭარის მთავრობის მეთაურთან, არჩილ ხაბაძესთან და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ზაურ ფუტკარაძესთან ერთად, ციტრუსის სეზონის მიმდინარეობის პროცესს გაეცნო.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, აჭარის მთავრობის წევრებთან ერთად, ქობულეთში, კომპანია ჯი-ემ გრუპის ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოც დაათვალიერა და სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო.

საწარმო სტანდარტული და არასტანდარტული მანდარინის მიღება-გადამუშავებასთან ერთად, ახორციელებს ციტრუსის პარაფირებას, რაც პროდუქტის შენახვის გახანგრძლივებას უწყობს ხელს.

როგორც ჯი-ემ გრუპის საწარმოს დირექტორმა, რეზო გოგიტიძემ აღნიშნა, მიმდინარე წელს ქობულეთის საკონსერვო ქარხანა 15.000 ტონა არასტანდარტულ მანდარინს მიიღებს. საწარმოს წარმადობა დღე-ღამეში 300 ტონაა. წარმოებული იქნება ციტრუსის კონცენტრატი, საიდანაც დამზადდება წვენი.

პროდუქციის რეალიზება ადგილობრივ ბაზარზე მოხდება. კომპანია პროდუქციის ექსპორტზე გატანას იაპონიაში, ჰოლანდიასა და ისრაელში გეგმავს.

საკონსერვო ქარხანა არასტანდარტულ მანდარინს 20 თეთრად შეისყიდის, აქედან 10 თეთრს სუბსიდიის სახით სახელმწიფო დააფინანსებს. საწარმოში 100-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული.

აჭარაში ვიზიტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრი, მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები ბათუმის პორტში, ბორანზე „კაუნასი“ საექსპორტო ციტრუსის დატვირთვის პროცესს დაესწრნენ.

ბორანი, რომელიც დაახლოებით 10 სატვირთო მანქანა ციტრუსით დაიტვირთა, უკრაინის მიმართულებით 200 ტონა მანდარინის გადაზიდვას განახორციელებს.

– წელს ციტრუსზე მოთხოვნა გაზრდილია და მოსავლის დაბინავების პრობლემა არ არსებობს, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

დღეის მდგომარეობით, ფასი 50-დან 75 თეთრამდე მერყეობს.

– ვფიქრობ, წელს, როგორც არასდროს, ხარისხიანი მოსავალი და წარმატებული „ნარინჯისფერი რთველი“ გვექნება, – აღნიშნა არჩილ ხაბაძემ.

საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშემწყობი ღონისძიება დაიწყეს.

საწარმოებში მანდარინის ორგანიზებულად ჩაბარების მიზნით, ბათუმში საკოორდინაციო შტაბიც ფუნქციონირებს.

**კომერსანტ.გე**

## რუსეთის ბაზარი თურქული ბრენდების გარეშე რჩება



რუსეთში ანტითურქული კამპანია სულ უფრო რადიკალურ ხასიათს იძენს.

რუსეთის პრეზიდენტმა შაბათს თურქეთის წინააღმდეგ სპეციალური ეკონომიკური ზომების შესახებ განაცხადა.

დოკუმენტი თურქული ბიზნესის წინააღმდეგ ფაქტობრივად სანქციებს აწესებს: იკრძალება თურქული წარმოების საქონლის შეტანა და თურქების მუშაობა რუსეთის ტერიტორიაზე. აკრძალვების კონკრეტულ ჩამონათვალს მთავრობა შეადგენს. დოკუმენტი ტურისტულ სააგენტოებს უკრძალავს თურქული საგზურების გაყიდვასა და თურქეთში ჩარტერული რეისების განხორციელებას.

პუტინის მიერ გამოცხადებული „დროებითი ზომები“, დოკუმენტის თანახმად, მიმართულია რუსეთის „ეროვნული უსაფრთხოებისა და რუსეთის მოქალაქეების დაცვისკენ დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან,“ ასევე თურქეთთან ეკონომიკური კავშირების შეზღუდვებისკენ.

რუსეთის საბაჟო სამსახურებმა თურქული საქონლის რუსეთში შეტანის შეზღუდვა ჯერ კიდევ ბრძანების გამოცემამდე დაიწყეს.

ფედერალურმა საბაჟო სამსახურმა გასცა არაფორმალური ბრძანება კონტროლის გაძლიერებისა და თურქეთიდან მიმავალი ყველა პროდუქციის შემოწმების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი ამ ქვეყნიდან შემავალი სასოფლო პროდუქციის დამატებითი შემოწმების განკარგულება გამოსცა.

პუტინის ბრძანება ეხება იმ კომპანიების მუშაობას, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან.

ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზე თურქეთის დაახლოებით 87 ათასი მოქალაქე იმყოფება.

რუსეთის მშენებლობის სამინისტროში აცხადებენ, რომ თურქი მშენებლების მიერ რუსეთის ბაზრის დატოვება ნეგატიურ შედეგებს არ მოიტანს, რადგან რუსი სპეციალისტები არანაკლებ პროფესიულად ართმევენ თავს სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

პუტინის ბრძანება ასევე აფორმებს რუსეთ-თურქეთის შეთანხმების შეჩერებას უვიზო მიმოსვლის შესახებ, რის შესახებაც გასული კვირის ბოლოს სერგეი ლავროვმა განაცხადა.

სანქციების შედეგად 11-მა თურქულმა ფეშენ-ბრენდმა, შესაძლოა, საკუთარი სავაჭრო წერტილები დახუროს, რუსი მწარმოებლები კი, რომლებიც თურქულ მხარეს შეკვეთებს აძლევდნენ, ახალ კონტრაგენტებს ეძებენ.

უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსი რითეილერები მზად არიან, უარი თქვან თურქულ იმპორტზე, თუმცა მათი თანხმობის გარეშეც საქონლის ნაკადის შეწყვეტა ძალიან ადვილია.

* * *

რუბლის გაუფასურების შედეგად მომხმარებლის მსყიდველობითი უნარი შემცირდა, თურქული ბრენდები კი ასეთ პირობებში საკმაოდ ხელმისაწვდომი და მოთხოვნადი გახდა.

შესაბამისად, სანქციები საშუალო შემოსავლის მქონე მომხმარებლებს დაარტყამს.

**კომერსანტ.გე**

# სირია პუტინიზმის დასასრულის დასაწყისია

მარიამ მჭედლიშვილი

**ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, არაერთი ექსპერტის აზრით, აუცილებლად გამოიწვევს ცვლილებებს, მათ შორის, საქართველოსთვისაც. კომენტატორების შეფასებები უფრო ხშირად ოპტიმისტურია და მიანიშნებს, რომ რუსეთს, ბოლოს და ბოლოს, მოუწევს უარის თქმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. არსებობს ასევე აზრი, რომ დასავლეთის ბოლოდროინდელი თანამშრომლობა რუსეთთან ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, რუსეთს პოლიტიკურად გააძლიერებს.**

რუსეთის ეკონომიკა უკვე გარკვეული ხანია, მძიმე დღეშია. ამის გამო რუსეთი სრულად ვერ ასრულებს იმ ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული მხარეების – აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართ იკისრა. შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე, შეიძლება რუსეთმა მათი დოტაცია კიდევ უფრო შეამციროს. მოსალოდნელია, რომ აფხაზეთში პრობლემები შეექმნას თურქულ კაპიტალსაც. აფხაზეთი ინვესტიციების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის. რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზე კი თურქული დაბანდებებია.

ამერიკული პრესის თანახმად, სირია პუტინიზმის დასასრულის დასაწყისია.

– თუ ეროვნული წარმატება განისაზღვრება ეკონომიკით, მაშინ რუსეთს მძიმე დღეები უდგას, – წერს ფორინ პოლისი.

მედიის შეფასებით, სანამ პუტინი სირიითაა დაკავებული, რუსეთში ინფლაცია იზრდება, კლებულობს ეკონომიკა, მატულობს სიღარიბის დონე, სუსტდება რუბლი. დასავლეთის მიერ გამოცხადებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა საგრძნობი დარტყმა მიაყენა კრემლს, ნავთობზე ფასების კლებამ კი უფრო გაამწვავა სიტუაცია.

ვაშინგტონ პოსტის სიტყვებით, ეკონომიკურ კრიზისში მყოფი რუსეთი ცდილობს, მხარი დაუჭიროს ახლო აღმოსავლეთში თავის სუსტ და სასტიკ მოკავშირე ბაშარ ალ-ასადს. თუმცა, რუსეთი სამშობლოში ცხედრებით ბრუნდება.

## ამერიკული პრესა რუსეთის კრახზე წერს



## რა შეცდომები დაუშვა დასავლეთმა

ჯერ ერთი, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა შურისძიების მოტივით ჩამოაგდეს რუსეთის სამგზავრო თვითმფრინავი 224 მგზავრით; მეორე – თურქეთის საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი. ეს გახდა პირველი ინციდენტი 60 წლის განმავლობაში, როცა ნატოს წევრმა განახორციელა პირდაპირი იერიში. რუსეთმა დაკარგა მფრინავის საძებნელად გასული ვერტმფრენიც. ის სირიელმა ამბოხებულებმა ჩამოაგდეს.

დასავლური მედია დასავლეთის შეცდომებზეც ამახვილებს ყურადღებას და ცივილიზებულ სახელმწიფოებს აკრიტიკებს იმის გამო, რომ ისინი ტერორიზმს რუსეთის გარეშე ვერ ებრძვიან. გაზეთ რეფლექსის აზრით, დაჯგუფება ისლამური სახელმწიფო ლოკალური ხასიათის წარმონაქმნია, რომელთანაც ადვილია შებრძოლება, მაგრამ დასავლეთმა ეს ვერ გააკეთა.

– ისლამური სახელმწიფო, როგორც ისლამური ტერორიზმის დროებითი მუტაცია, საჩუქარი იყო დასავლეთისათვის. ლოკალურ ტერორიზმთან ბრძოლა უფრო ადვილია, მაგრამ უკბილო და არაშორსმჭვრეტელმა დასავლეთმა ამით ვერ ისარგებლა, – აღნიშნავს გაზეთი.

რეფლექსი დარწმუნებულია, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან საბრძოლველად არ იყო საჭირო რუსეთთან კავშირი. ბრძოლის დაწყებას გაბედული ლიდერები სჭირდებოდა. ასეთები არ აღმოჩნდნენ.

გაზეთი მიიჩნევს, რომ დასავლეთი საკუთარ ხაფანგში გაება, რაც მას საშუალებას მოუსპობს, მომავალში დარტყმები მიაყენოს კრემლს.

# „რუსეთმა სირიაში შეიძლება ბირთვული იარაღი შეიტანოს“

გულიკო ბალაძე



## ვახტანგ მაისაია: „რუსეთის შესაძლებლობების შეუფასებლობა არ შეიძლება“

**ცოტა ხნის წინ პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით, ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ჩატარდა პოლონეთსა და გერმანიაში.**

შეხვედრებს ესწრებოდა ქართველი სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია, როგორც „პროგრამის“ კონსორციუმის სამუშაო ჯგუფის წევრი.

**„ახალი თაობა“ ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.**

– ტერაქტებთან დაკავშირებით დაძაბულობის ელემენტები იგრძნობოდა. ყველას აინტერესებდა, როგორ დამთავრდებოდა პროცესები პარიზის ტერაქტის შემდეგ და როგორი იქნებოდა ისლამური ხალიფატის ფაქტორი ამ კუთხით, – აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

***– ისლამურ ხალიფატთან დაკავშირებით, შეფასებები და დასკვნები როგორია?***

– სიტუაცია საკმაოდ რთულია. საქართველოს წინააღმდეგ, ფაქტობრივად, მუქარა განხორციელდა ვიდეოს გამოქვეყნებით. მანამდეც იყო მუქარები, რომლებიც ისლამური ხალიფატის წარმომადგენლებისაგან წამოვიდა. სიტუაცია იძაბება არა მხოლოდ სირიაში, არამედ მსოფლიოს ყველა არეალში.

საქართველო ამ მოვლენების ეპიცენტრშია. ტერაქტები გახშირდა და თავდასხმები განხორციელდა აფრიკასა და საფრანგეთში. განხორციელდა თავდასხმა სამშვიდობო მისიის წარმომადგენლებზე.

ავღანეთში გატაცებულია 16 საერთაშორისო დამკვირვებელი, გაეროს მისიის 4 წარმომადგენელი დახვრიტეს. მსოფლიო ყოველდღე ახალი მოვლენების წინაშე დგება.

***– მოვლენები საით მიდის?***

– ჯერ სირიაში მოვლენებში ჩაერთო თურქეთი, ხოლო შემდეგ – რუსეთი. ამას დაემატა საფრანგეთის ავიადარტყმების სერია, რამაც ისლამური ხალიფატისა და სხვა ტერორისტული გაერთიანებების მხრიდან კონტრზომების მიღება გამოიწვია.

***– მოვლენები კონტროლს ექვემდებარება?***

– ჯერჯერობით ექვემდებარება, მაგრამ თანდათან კონტროლიდან გადის.

***– ეს რას გამოიწვევს?***

– მოვლენების კონტროლიდან გასვლა გლობალურ პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს. რუსეთი და თურქეთი ეკონომიკურ ომზე გადავიდნენ.

რუსეთში ასევე დაიწყო ანტითურქული ისტერია. ულტრანაციონალიზმმა სახელმწიფო დონეზე დიდი მასშტაბები მიიღო. როგორც ჩანს, თურქეთიც ეკონომიკურ ბლოკადაზე კონტრზომებს მიიღებს.

მიმდინარეობს სამხედრო შეიარაღებული მზადება. რუსეთმა სირიაში განათავსა სამხედრო სარაკეტო, ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო კომპლექსები.

***– რუსეთის მხრიდან ამგვარი შეიარაღების სირიაში განთავსება რას ნიშნავს? მე მითხრეს, რომ ასეთი კომპლექსები რუსეთს ჩრდილო კავკასიაშიც აქვს. ამიტომ ეს რუსეთს უპირატესობას ვერ მოაპოვებინებს.***

– ჩრდილო კავკასიაში რუსეთს განთავსებული აქვს ეს-300 ტიპის სარაკეტო-საზენიტო დანადგარი, რომელიც დაბალი შესაძლებლობებისაა, მაგრამ საკმაოდ ეფექტური საშუალებაა, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებისა და საჰაერო თავდაცვის ეფექტური ზღუდე გააკეთოს. ეს-400 ტიპის სარაკეტო-საზენიტო კომპლექსები უფრო მოდერნიზებული, ეფექტური და გაცილებით ძლიერია.

***– შედეგი რა არის?***

– სირიაში რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების შემდეგ, თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო თვითმფრინავებმა, ფაქტობრივად, შეწყვიტეს ფრენები საკუთარ ტერიტორიაზე. ეს რაღაცას ხომ ნიშნავს?!

***– ეს იყო რუსეთის პასუხი თურქეთის მიერ თვითმფრინავის ჩამოგდებაზე?***

– დიახ. რუსული თვითმფრინავები უკვე დაფრინავენ სტრატეგიული გადამჭერი თვითმფრინავების მეშვეობით. მას შეუძლია 600 კმ-ში მოახდინოს საჰაერო სივრცის რადიოლოკაციური კონტროლი და 400 კმ-ში მოახდინოს 12 ობიექტის ერთდროულად განადგურება ჰაერში. მოქმედების სიმაღლე 30 კმ-ია.

ოთხი კომპლექსი ბატარეა საკმარისია სირია-თურქეთის საზღვრების დიდი ნაწილის გასაკონტროლებლად.

***– ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსეთი სარაკეტო კომპლექსების განთავსებით ბევრს ვერაფერს მიაღწევს.***

– რუსეთის შესაძლებლობების შეუფასებლობა უპასუხისმგებლობაა. რუსეთის მიერ სირიაში საჰაერო-სარაკეტო კომპლექსების განლაგებამ აშშ-ისა და ნატოს ხელმძღვანელობის შეშფოთება რომ გამოიწვია, ეს ცოტას ნიშნავს?!

***– არა, რა თქმა უნდა.***

– თურქეთის გენშტაბმა გასცა ბრძანება, მათ სამხედრო თვითმფრინავებს შეეწყვიტათ სამხედრო საჰაერო ძალების ოპერატიული მორიგეობა თურქეთის ცაში. თურქეთი აძლიერებს სამხედრო კონტინგენტს თავის საზღვრებთან.

***– რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები ამით ამოიწურა?***

– არ გამოვრიცხავ, რუსეთმა ბაშარ ასადისა და რუსული ძალების კონტროლირებად ტერიტორიაზე განალაგოს ისკანდერის ტიპის საჰაერო სარაკეტო კომპლექსები, რომლებითაც შეიძლება ბირთვული ტაქტიკური ქობინების გაშვება.

***– ე.ი. თურქეთის მხრიდან რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებამ ახლო აღმოსავლეთში ვითარება უფრო გაამწვავა.***

– კი, რა თქმა უნდა. ამის ექო კავკასიის რეგიონშიც მალე გამოჩნდება.

***– რუსეთის პოზიციები გაამყარა?***

– რუსეთის პოზიციები გაამყარა თუ შეასუსტა, დრო გვიჩვენებს, მაგრამ გამოიწვია რუსეთის კიდევ უფრო გააქტიურება სირიის კონფლიქტში.

***– ამ ფონზე ხალიფატთან ბრძოლა ხომ არ შესუსტდა? რუსეთი ხალიფატის წინააღმდეგ იბრძვის?***

– ნაკლებად. რუსეთისთვის უფრო მნიშვნელოვანია ჯაჰად ალ ისლამთან ბრძოლა. ეს არის კიდევ ერთი ისლამისტური დაჯგუფება, რომელიც იბრძვის ასადის წინააღმდეგ.

***– ეს რა ორგანიზაციაა?***

– ალ ქაიდას ეგიდით მოქმედი ორგანიზაციაა.

***– რუსეთი, ფაქტობრივად, ხელს უშლის ხალიფატთან ბრძოლას. როგორ წარმოგიდგენიათ ხალიფატის დამარცხება?***

– საფრანგეთის პრეზიდენტმა წამოაყენა იდეა ახალი ანტიხალიფატური კოალიციის შექმნის შესახებ.

***– რუსეთი ახალ ანტიხალიფატურ კოალიციაში შევა?***

– 30 ნოემბერს პარიზში საერთაშორისო კონფერენციაზე შეიკრიბნენ, რომელიც გლობალური დათბობის თემას ეხება. პარალელურად შეიძლება ანტიხალიფატური კოალიცია ჩამოყალიბდეს საფრანგეთის ეგიდით. საფრანგეთმა მიმართა რუსეთს, ისლამური ხალიფატის წინააღმდეგ კოორდინირებულად იბრძოლონ. წინა კოალიცია, რომელიც ამერიკელების ეგიდით შეიქმნა, არაეფექტური იყო.

# თბილისში მოქალაქეებმა ფარშევანგი იპოვეს



დიდი ლილოს დასახლებაში ადგილობრივებმა ფარშევანგი იპოვეს და ამის შესახებ მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს აცნობეს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ცნობით, ფრინველი თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ ზოოპარკს გადასცა.

ზოოპარკის წარმომადგენლების განცხადებით, ფარშევანგი მათი არ არის, რადგან 13 ივნისს ფრინველებს სტიქია არ შეხებიათ.

მონიტორინგის სამსახური არკვევს, საიდან მოხვდა ფარშევანგი თბილისის ქუჩებში.

**ნიუსპრესი**

# ვაზისუბანში იეღოვას მოწმეთა დარბაზი მეორედ დაცხრილეს

თბილისში, ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონში იაღოველების თავშეყრის ცენტრი მიმდინარე თვეში მეორედ დაცხრილეს. შემთხვევა, სავარაუდოდ, 30 ნოემბერს გამთენიისას მოხდა და შენობაში არავინ იმყოფებოდა.

როგორც „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ვაზისუბანში იაღოვას მოწმეების თავშეყრის ცენტრის შენობა 25 ნოემბერსაც დაცხრილეს. ორივე შემთხვევის შედეგად, შენობას 30-მდე ტყვია აქვს ნასროლი.

**მედიანიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ელდარ რიაზანოვი გარდაიცვალა

მოსკოვში 89 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი რუსი კინორეჟისორი ელდარ რიაზანოვი, ავტორი გახმაურებული ფილმებისა „ბედის ირონია ანუ გაამოთ,“ „სამსახურებრივი რომანი,“ „გარაჟი,“ „ძვირფასი ელენე სერგეევნა“ და ა.შ.

რიაზანოვი რუსულ დემოკრატიულ ინტელიგენციას განეკუთვნებოდა. ის საბჭოთა ეპოქაშიაც კი რეჟიმის კრიტიკას არ ერიდებოდა (ფილმი „გარაჟი“). 1991 წლის აგვისტოში



რიაზანოვი რუსეთის პარლამენტთან იდგა, რათა რუსული დემოკრატიისთვის მხარი დაეჭირა.

როგორც ყველა რუსი, რიაზანოვიც საბჭოთა კავშირის დანგრევას გეო-პოლიტიკურ კატასტროფად აღიქვამდა. ამავე დროს, ის კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმ მეთოდებისა, რომელთა მეშვეობითაც ვლადიმერ პუტინი იმპერიის აღორძინებას ცდილობს.

— პუტინი რუსეთს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. ჩვენ საბოლოოდ ჩვენს წინააღმდეგ ავიმხედრეთ უკრაინა, საქართველო, მოლდოვა! რუსეთი იზოლაციაშია, ეკონომიკა ნულამდე დაეცა. ასეთ სიტუაციაში იარაღის ჟღარუნი და სამხედრო ავანტიურები სიკვდილის ტოლფასია. თუკი ასე გაგრძელდა, რუსეთს ახალი რევოლუცია და კატასტროფა მოელის! — ამბობდა რიაზანოვი.

სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი, მძიმე ავადმყოფი რიაზანოვი, პუტინის რეჟიმს მწვავედ აკრიტიკებდა.

# მაკკეინი სირიაში დამატებით 10.000 ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნას მოითხოვს

სენატორმა მაკკეინმა მკაცრად გააკრიტიკა ბარაქ ობამას ტაქტიკა სირიაში. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ დაბომბვებით ომის მოგება შეუძლებელია.

— ეფექტურად ორგანიზებული სახმელეთო ოპერაციის გარეშე არაფერი გამოვა, — თქვა მაკკეინმა.

სენატორმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სირიასა და ერაყში დამატებით კიდევ 10. 000 ამერიკელი სპეცრაზმელის გაგზავნა, რათა ოპერაცია ტერორისტების წინააღმდეგ გამარჯვებით დასრულდეს.



მაკკეინს მხარი დაუჭირა სენატორმა რესპუბლიკელმა ლინდსეი გრემმა. მან განაცხადა, რომ აუცილებელია როგორც დამატებითი სპეცრაზმელების გაგზავნა, ასევე ადგილობრივი ძალების მხარდაჭერის გაძლიერება, მათი, ვინც ასადის და ტერორისტების წინააღმდეგ გამოდის.

# სირია: რუსულმა ავიაციამ იდლიბის ბაზარი დაბომბა

რუსულმა ავიაციამ პროვინცია იდლიბის ბაზარი დაბომბა. ცალკეული ცნობით, დაღუპულია 10 მშვიდობიანი მოქალაქე.

— რუსებმა კასეტური ბომბები გამოიყენეს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

იდლიბს ორგანიზაცია ალ-ნუსრა აკონტროლებს. ის ალ-ქაიდას სირიული ფილიალია.



Reuters



# ყირიმში კვლავაც წყვდიადია

უკრენერგოს ხელმძღვანელმა ვსევოლოდ კოვალჩუკმა განაცხადა, რომ ყირიმში დენის მიწოდებაზე საუბარი ნაადრევია. ყირიმში კვლავაც წყვდიადია. პასუხად მოსკოვი მუქარაზე გადავიდა.

— უკრაინის საზღვრისკენ გადმოისროლეს სამხედრო ტექნიკა და „გრადები“, — იტყობინება „ინტერი“.

უკრაინელებმა საზღვრის დაცვა გააძლიერეს. სამხედრო ექსპერტის, დმიტრო ტიმჩუკის ცნობით, რუსეთს აუცილებელი ტექნიკური და რიცხობრივი უპირატესობა არ გააჩნია.

— ძალები, რომლებიც ყირიმშია დისლოცირებული, შეტევის წარმატებით დაგვირგვინებისთვის საკმარისი არაა! თუკი რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ, შეტევა მოგერიებული იქნება, — ამბობს ტიმჩუკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ნუტელა გოგონას სახელს თავის ნაწარმზე არ დააწერს




სიდნეიში მცხოვრებმა ჰიზერ ტეილორმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კომპანია ნუტელამ მისი გოგონა აისისისთვის პერსონალური ქილა არ დაამზადა. ამის მიზეზად კი გოგონას სახელის ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს ანალოგიურ სახელწოდებასთან მსგავსებაა.

ხუთი წლის გოგონა და მისი რვა წლის ძმა, ოდინი, თავიანთ დეიდასთან ერთად ადგილობრივ უნივერმაღში გაემგზავრნენ. დეიდის თხოვნაზე, ბავშვების სახელები შოკოლადის კრემიან ქილაზე განეთავსებინათ, უნივერმაღის თანამშრომელმა უპასუხა, რომ მათ კომპიუტერი არ იღებს. ქალს ამის გაკეთება დაჟინებით არ მოუთხოვია, მაგრამ მენეჯერმა ყურადღება მიაპყრო სახელ აისისს, რომელიც ისლამური სახელმწიფოს აბრევიატურას ჰგავს.

კომპანია ფერეროს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც შოკოლადის კრემს აწარმოებს, ტეილორების ოჯახს დაუკავშირდა, რათა თავისი ხელქვეითების გადაწყვეტილებისადმი მხარდაჭერა გამოეხატა. ბავშვების დედამ კომპანიის წარმომადგენელთა გადაწყვეტილება შეურაცხყოფად მიიჩნია და საკუთარი უკმაყოფილება იმით ახსნა, რომ გოგონას სახელი მანამდე დაარქვა, სანამ ტერორისტული დაჯგუფება წამოიშობოდა.

### ნასამ სამაგიდო თამაში „შავი ხვრელები“ გამოაქვეყნა




ამერიკულმა კოსმოსურმა სააგენტომ „შავი პარასკევის“ ფარგლებში (აშშ-ში საქონელზე მასობრივი ფასდაკლების დღე) თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა სამაგიდო თამაში „შავ ხვრელში“ ჩავარდნა“.

— მოძებნეთ სამაგიდო თამაში ამ „შავ პარასკევს“? აი, აქ არის უფასო თამაში „შავი ხვრელები“, — წერს ნასას პრესსამსახური ტვიტერში.

გალაქტიკათშორისი მოგზაურობის დროს, რომელიც საყოფაცხოვრებო პრინტერზეა ამობეჭდილი, მოთამაშეებს შეუძლიათ, ესტუმრონ რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიას ლოს-ანჯელესის მახლობლად, იაპონურ ტელესკოპ ვსოპ-ს, რუსულ პროექტ „რადიოასტრონს“, ასევე იმოგზაურონ სხვა გალაქტიკებში, ვარსკვლავთშორის გაზის ღრუბელსა და ნეიტრონულ ვარსკვლავზე.

თამაშის ორიდან ოთხ მოთამაშემდე მონაწილემ უნდა მოაგროვოს „ანტიგრავიტაციული ჟეტონები“ და მიაღწიონ დანიშნულების საბოლოო პუნქტს „შავ ხვრელამდე“.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

### ბრიტანეთში პრინცესა შარლოტას ოფიციალური ფოტოსურათები გამოქვეყნდა

კებრიჯის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ თავიანთი გოგონას, პრინცესა შარლოტას ახალი ფოტოსურათები გამოაქვეყნეს, რომელიც ახლახან ნახევარი წლის გახდა. ორი ფოტოსურათი წყვილის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში ოფიციალურ აკაუნტებში გამოქვეყნდა.

ფოტოსურათები ბავშვის დედამ ჰერცოგინია კეტრინმა, სამეფო წყვილის ქალაქგარეთ მამულ ანმერ-ჰოლში გადაიღო. ეს პრინცესა შარლოტას პირველი ოფიციალური ფოტოსურათებია.

— ჰერცოგსა და ჰერცოგინიას იმედი აქვთ, რომ ყველას ისევე მოეწონება ეს სურათები, როგორც თავად მათ მოსწონთ, — წერია ფოტოსურათების კომენტარში, რომელიც კენსინგტონის სასახლის აკაუნტშია გამოქვეყნებული.





### ცხენმა პრინცი ჰარი ჩამოაგდო

პოლოს საქველმოქმედო თამაშის დროს, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართა, პრინცი ჰარი ორჯერ ჩამოვარდა ცხენიდან. პირველად ცხენმა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი თავს ზემოდან მაშინ მოისროლა, როდესაც მან მკვეთრი მოძრაობით აღვირი მოქაჩა. თავად ჰარი არ დაზიანებულა, მაგრამ ცხენი გაიქცა და მისი დადევნება მოუხდა, რათა თამაშში მონაწილეობა გაეგრძელებინა.

მეორედ პრინცი მიწაზე უკვე მატჩის ბოლოს აღმოჩნდა. ამ ინციდენტს ის ღიმილით შეხვდა და მაყურებლებს მხიარული სახით თავი დაუკრა. საბოლოოდ ის გუნდი, რომელშიც პრინცი ჰარი ასპარეზობდა 7:8 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ პრინცი ჰარი, ისევე როგორც მამამისი, უელსის პრინცი ჩარლზი, პოლოს კარგად თამაშობს და საქველმოქმედო მატჩებში რეგულარულად მონაწილეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

### მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# დილა დინამოს დევნას აგრძელებს



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩი.

**საბურთალო – დილა 1:3**

**თბილისი.** ბენდელა

0:1 მაშუკოვი (44), 0:2 გოგუა (57), 0:3 ნავალოვსკი (71), 1:3 დვალი (76)

**საბურთალო:** ქურდაძე, მარგველაშვილი (ჩოგაძე 82), თოთაძე, ნადარაია, სოფრომაძე, ალთუნაშვილი (დვალი 58), ხარაიშვილი, ბიძინაშვილი (კოხრეიძე 64), ჩაბრაძე, გოშთელიანი, საბანაძე

**დილა:** მუჯრიშვილი, ნავალოვსკი, ქარქუზაშვილი, კვახაძე, ხურცილავა, ფალავანდიშვილი, გოგუა, ნონიკაშვილი (მოდებაძე 80), ღონღაძე, ერისთავი (თომაშვილი 46), მაშუკოვი (გვალია 68)

**გაძევება:** კვახაძე (33)

გორის დილამ საბურთალოსთან მატჩში მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა და კვლავინდებურად განაგრძობს ბრძოლას პირველობისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ქართლელები, 33-ე წუთიდან მოყოლებული, უმცირესობაში იყვნენ – ორი ყვითელი ბარათის გამო მოედნის ნაადრევად დატოვება დილას კაპიტანს, ალექსანდრე კვახაძეს მოუხდა. ამ დროს ანგარიში 0:0 იყო.

საერთო ჯამში, ქომაგმა საინტერესო თამაში იხილა, თუმცა კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

პირველი ხიფათი ქართლელებისა იყო, როდესაც ერისთავმა კარის გასწვრივ გააკეთა პასი, იქ კი ვერც ერთი გორელი ფეხბურთელი ვერ მისწვდა ბურთს, თორემ გოლი გარდუვალი იყო. მალე უკვე მასპინძელ ნადარაიას შეეძლო ანგარიშის გახსნა და თავისიანების დაწინაურება, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმულს ძალა დააკლდა.

თამაში ხისტი გამოდგა, რის გამოც მთავარ არბიტრ ლაშა სილაგავას რამდენჯერმე დასჭირდა ჯიბიდან ყვითელი ბარათის ამოღება, ერთხელაც არბიტრმა წითელი ბარათიც ააფრიალა. რამდენიმეწუთიან ინტერვალში დილას გამოცდილმა კაპიტანმა კვახაძემ ორჯერ იუხეშა და ჯერ ყვითელი ბარათი მიიღო, მერე კი მინდვრის დატოვება მოუხდა. თითქოს მასპინძლებმა ამით უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა...

გაძევებიდან მალე საბურთალოელ საბანაძეს გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი შეექმნა – მეკარეც მოტყუებული ჰყავდა და კარშიც აგორებდა ბურთს, თუმცა ნავალოვსკიმ დარტყმულს მიუსწრო და ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. ისე მოხდა, რომ სტუმრები ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ – გორელი მაშუკოვი მეკარე ქურდაძესთან პირისპირ აღმოჩნდა და არც გატანა გასჭირვებია.

მეორე ტაიმში დილამ დაცვის ხაზი გაამაგრა და კონტრიერიშებზე ააგო თამაში. ერთ-ერთ ასეთ შეტევას საბურთალოს კარში გოლი მოჰყვა – სისწრაფეაკრეფილი ნავალოვსკი ორ ფეხბურთელს გასცდა, შემდეგ კი გოგუას გადააწოდა ბურთი, რომელსაც ახლო მანძილიდან გატანა არ გასჭირვებია.

მასპინძლები უტევდნენ, სტუმრები კი თავს მშვიდად იცავდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში დიდი როლი იქონია ფეხბურთელების გამოცდილებამ. სწორედ გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე მოახერხა დილამ წარმატების მიღწევა. 72-ე წუთზე ნავალოვსკიმ მარცხენა ფლანგზე კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და ქურდაძეს შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა, 0:3.

მალე თბილისელებმა ერთი ბურთის გატანა კი მოახერხეს, მაგრამ საბოლოოდ თამაშის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა. ცვლილებაზე შემოსულმა ჯაბა დვალმა, რომელიც ფეხის ოპერაციის შემდეგ თვენახევარი უქმად იყო, მეტოქის კარი შეარხია. გატანა გიორგი ხარაიშვილსაც შეეძლო, რომლის საჯარიმო დარტყმა ხარიხამ მოიგერია. ხოლო გაგი მარგველაშვილის თავურის შემდეგ, სტუმარმა მეკარემ ზედ ხაზზე გააშეშა ბურთი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 13 | 11 | 1 | 1 | 35-10 | 34 |
| 2.დილა | 13 | 10 | 1 | 2 | 27-11 | 31 |
| 3.სიონი | 13 | 9 | 2 | 2 | 29-12 | 29 |
| 4.ცხინვალი | 13 | 8 | 2 | 3 | 29-18 | 26 |
| 5.სამტრედია | 13 | 7 | 1 | 5 | 27-18 | 22 |
| 6.შუქურა | 13 | 6 | 3 | 4 | 16-12 | 21 |
| 7.ჩიხურა | 13 | 6 | 2 | 5 | 19-12 | 20 |
| 8.დინამო (ბთ) | 13 | 5 | 5 | 3 | 21-14 | 20 |
| 9.საბურთალო | 13 | 6 | 1 | 6 | 18-21 | 19 |
| 10.ტორპედო | 13 | 4 | 4 | 5 | 19-22 | 16 |
| 11.კოლხეთი | 13 | 5 | 1 | 7 | 12-18 | 16 |
| 12.ლოკომოტივი | 13 | 4 | 2 | 7 | 17-19 | 14 |
| 13.გურია | 13 | 2 | 3 | 8 | 10-25 | 9 |
| 14.საპოვნელა | 13 | 2 | 2 | 9 | 10-31 | 8 |
| 15.ზუგდიდი | 13 | 1 | 3 | 9 | 11-33 | 6 |
| 16.მერანი | 13 | 1 | 1 | 11 | 10-34 | 4 |

# ვითას მორიგი მარცხი

**ვითა-ვეფი 69:99**

(21:18, 18:28, 12:24, 18:29)

ვითიბი თასის გათამაშების მორიგი მატჩი ვითამ კარგად დაიწყო, პირველი მეოთხედი სულაც მოიგო, მაგრამ შემდეგ ინიციატივას ბალტიისპირელები დაეუფლნენ და საბოლოოდ 30 ქულით იმარჯვეს.

ვითა, ჯერჯერობით, ერთადერთი გუნდია, რომელსაც მოგებათა გრაფაში 0 უწერია. თუმცა, ეს არ არის პრობლემა – უფრო სასირცხვილო ის არის, რომ სოლიდური ბიუჯეტის ლიგაში მოთამაშე გუნდი კალათბურთელებს ვერ ინარჩუნებს.

პირველ ტაიმში მაყურებელმა ორი განსხვავებული მეოთხედი იხილა. დებიუტში პიერია ჰენრისა და კონსტანტინ ანიკიენკოს კარგი თამაშის შედეგად ვითა 21:11 დაწინაურდა. ეს უპირატესობა ვითელებმა მეოთხედის დასრულებამდე ნაწილობრივ გაანიავეს, ხოლო მეორე ათწუთეული, სულაც 10 ქულით წააგეს და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ.

პირველი მეოთხედის შემხედვარე იფიქრებდა, რომ ვითა რიგელებს წინააღმდეგობას მაინც გაუწევდა, მაგრამ ასე არ მოხდა და საბოლოოდ დიდი ანგარიშით დამარცხდა.

# რუსულ კლუბებს თურქი ფეხბურთელების მიწვევა აუკრძალეს

რუსულ საფეხბურთო კლუბებს ზამთრის სატრანსფერო პერიოდში თურქი მოთამაშეების მიწვევა აუკრძალეს. ამის შესახებ რუსეთის სპორტის მინისტრმა ვიტალი მუტკომ განაცხადა:

– თუ ვინმე ზამთრის სატრანსფერო პერიოდში თურქი სპორტსმენის მიწვევას მოინდომებს, დარწმუნებული ვარ, მას ამის შანსი არ ექნება. მოვლენებს არ გავუსწრებ, მაგრამ ასეთი სიგნალი უკვე მივიღეთ.

ჯერჯერობით უცნობია საბა კვერკველიას თანაგუნდელის, გეკდენიზ კარადენიზის ბედი.

# სანდრო კობახიძე: „მეტოქე ადამიანურად შემეცოდა"



უკრაინის პრემიერლიგის მე-15 ტურში, ლუცკის ვოლინმა ზაპოროჟიეს მეტალურგი 9:1 გაანადგურა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა ალექსანდრე კობახიძემ კი დუბლი შეასრულა.

28 წლის ფეხბურთელმა პირველი გოლი მე-4 წუთზე გაიტანა და ანგარიში 2:0 გახადა, ხოლო 23-ე წუთზე მასპინძლები 4:0 დააწინაურა.

ნამატჩევს მას კომენტარი უკრაინელმა ჟურნალისტებმა სთხოვეს.

**სანდრო კობახიძე:**

– ფეხბურთში ასეთიც ხდება. მეტალურგში ძალიან ახალგაზრდა ბიჭები არიან და ბევრს ცდებოდნენ. ჩვენ კი, რაც შევქმენით, პრაქტიკულად ყველა მომენტი გამოვიყენეთ. მეტოქისთვის ძალიან უსიამოვნო შედეგია. თუმცა, მეტალურგის ბიჭებს კარგი მომავალი აქვთ.

***– შახტართან წაგებული მატჩის შემდეგ თქვენმა მწვრთნელმა ვიტალი კვარციანიმ თქვა, რომ 10 გოლი უნდა გაგეტანათ. გამოდის, რომ დავალება ვერ შეასრულეთ?***

– ე.ი. ვერ შევასრულეთ. თუმცა, მთავარია, რომ მოვიგეთ. კარგია, რომ ამდენი გოლი გავიტანეთ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი 3 ქულის აღებაა.

***– წმინდა საფეხბურთო კუთხით მეტალურგის ახალგაზრდა მოთამაშეები არ შეგეცოდათ?***

– ადამიანურად ცოტა შემეცოდა. თუმცა, ჩვენც უნდა გაგვიგოთ – ფეხბურთელები ვართ და მოედანზე სათამაშოდ და გოლების გასატანად გავდივართ. მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიას ბრაზილიისთვის გოლების გატანა ხომ არ შეუწყვეტია? ჩვენ საქმეს ვაკეთებთ.

***– ალბათ, უკვე დნიპროსთან მატჩზე ფიქრობთ? ვოლინის ბევრი ფეხბურთელისთვის მომავალი შეხვედრა მნიშვნელოვანი იქნება.***

– თქვენ ალბათ იმ ფეხბურთელებს გულისხმობთ, რომლებიც ვოლინში დნიპროდან იჯარით არიან... ამის შესახებ უკვე ბევრჯერ მკითხეს. გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. უბრალოდ, გავალ მოედანზე და დადებითი შედეგის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებ.

# შედეგები

**29 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ჩელსი ........................ 0:0
ვესტ ........................ ჰემი-ვესტ
ბრომვიჩი ........................ 1:1
ლივერპული-სუონსი ........................ 1:0
ნორვიჩი-არსენალი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 14 | 9 | 2 | 3 | 30-14 | 29 |
| 2.ლესტერი | 14 | 8 | 5 | 1 | 29-21 | 29 |
| 3.მანჩესტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 20-10 | 28 |
| 4.არსენალი | 14 | 8 | 3 | 3 | 24-12 | 27 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 6 | 7 | 1 | 24-11 | 25 |
| 6.ლივერპული | 14 | 6 | 5 | 3 | 18-15 | 23 |
| 7.კრ.პალასი | 14 | 7 | 1 | 6 | 19-14 | 22 |
| 8.ვესტ ჰემი | 14 | 6 | 4 | 4 | 25-21 | 22 |
| 9.ევერტონი | 14 | 5 | 6 | 3 | 27-19 | 21 |
| 10.საუთჰემპტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 11.უოტფორდი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-16 | 19 |
| 12.სტოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 11-14 | 19 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 5 | 3 | 6 | 13-18 | 18 |
| 14.ჩელსი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-23 | 15 |
| 15.სუონსი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-19 | 14 |
| 16.ნორვიჩი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-25 | 13 |
| 17.სანდერლენდი | 14 | 3 | 3 | 8 | 16-26 | 12 |
| 18.ბორნმუთი | 14 | 2 | 4 | 8 | 17-30 | 10 |
| 19.ნიუკასლი | 14 | 2 | 4 | 8 | 14-30 | 10 |
| 20.ასტონ ვილა | 14 | 1 | 2 | 11 | 12-27 | 5 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-რეალი ........................ 0:2
რაიო-ბილბაო ........................ 0:3
სევილია-ვალენსია ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 0 | 2 | 33-12 | 33 |
| 2.ატლეტიკო | 13 | 9 | 2 | 2 | 18-6 | 29 |
| 3.რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 28-11 | 27 |
| 4.სელტა | 13 | 7 | 3 | 3 | 24-21 | 24 |
| 5.დეპორტივო | 13 | 5 | 6 | 2 | 20-13 | 21 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 16-14 | 21 |
| 7.ბილბაო | 13 | 6 | 2 | 5 | 21-16 | 20 |
| 8.ეიბარი | 13 | 5 | 5 | 3 | 17-14 | 20 |
| 9.ვალენსია | 13 | 5 | 4 | 4 | 17-10 | 19 |
| 10.სევილია | 13 | 5 | 3 | 5 | 18-18 | 18 |
| 11.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-17 | 18 |
| 12.ესპანიოლი | 13 | 5 | 1 | 7 | 14-24 | 16 |
| 13.ხეტაფე | 13 | 4 | 2 | 7 | 14-19 | 14 |
| 14.რაიო | 13 | 4 | 2 | 7 | 14-23 | 14 |
| 15.სოსიედადი | 13 | 3 | 3 | 7 | 14-18 | 12 |
| 16.ხიხონი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-20 | 12 |
| 17.გრანადა | 13 | 2 | 5 | 6 | 15-22 | 11 |
| 18.მალაგა | 13 | 2 | 4 | 7 | 7-13 | 10 |
| 19.ლას პალმასი | 13 | 2 | 4 | 7 | 10-19 | 10 |
| 20.ლევანტე | 13 | 2 | 4 | 7 | 10-24 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ვალიადოლიდი ........................ 1:1
ალბასეტე-ელჩე ........................ 1:0
მირანდესი-ხიმნასტიკი ........................ 0:1
ტენერიფე-ხირონა ........................ 1:1
სარაგოსა-პონფერადინა ........................ 2:0
კორდობა-ოვიედო ........................ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-შტუტგარტი ........................ 4:1
აუგსბურგი-ვოლფსბურგი ........................ 0:0
ლევერკუზენი-შალკე ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 13 | 1 | 0 | 42-5 | 40 |
| 2.დორტმუნდი | 14 | 10 | 2 | 2 | 40-19 | 32 |
| 3.ვოლფსბურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 23-15 | 25 |
| 4.გლადბახი | 14 | 7 | 2 | 5 | 28-22 | 23 |
| 5.ჰერტა | 14 | 7 | 2 | 5 | 18-17 | 23 |
| 6.ლევერკუზენი | 14 | 6 | 3 | 5 | 18-18 | 21 |
| 7.ჰამბურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 17-18 | 21 |
| 8.შალკე | 14 | 6 | 3 | 5 | 18-20 | 21 |
| 9.მაინცი | 14 | 6 | 2 | 6 | 20-20 | 20 |
| 10.კიოლნი | 14 | 5 | 5 | 4 | 15-18 | 20 |
| 11.ინგოლშტადტი | 14 | 5 | 4 | 5 | 10-14 | 19 |
| 12.დარმშტადტი | 14 | 3 | 6 | 5 | 14-19 | 15 |
| 13.აინტრახტი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-22 | 14 |
| 14.ჰანოვერი | 14 | 4 | 2 | 8 | 17-24 | 14 |
| 15.ვერდერი | 14 | 4 | 1 | 9 | 14-28 | 13 |
| 16.აუგსბურგი | 14 | 2 | 4 | 8 | 17-25 | 10 |
| 17.შტუტგარტი | 14 | 3 | 1 | 10 | 18-35 | 10 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 14 | 1 | 6 | 7 | 15-23 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-ზანდჰაუზენი ........................ 3:0
ფრანკფურტი-დიუსელდორფი ........................ 1:2
ზ.პაული-ნიურნბერგი ........................ 0:4

**იტალია. სერია ა**

კიევო-უდინეზე ........................ 2:3
ფროზინონე-ვერონა ........................ 3:2
ჯენოა-კარპი ........................ 1:2
რომა-ატალანტა ........................ 0:2
ემპოლი-ლაციო ........................ 1:0
პალერმო-იუვენტუსი ........................ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 16-7 | 30 |
| 2.ნაპოლი | 13 | 8 | 4 | 1 | 24-8 | 28 |
| 3.ფიორენტინა | 13 | 9 | 1 | 3 | 26-11 | 28 |
| 4.რომა | 14 | 8 | 3 | 3 | 29-17 | 27 |
| 5.იუვენტუსი | 14 | 7 | 3 | 4 | 20-11 | 24 |
| 6.მილანი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-18 | 23 |
| 7.სასუოლო | 13 | 6 | 4 | 3 | 15-12 | 22 |
| 8.ტორინო | 14 | 6 | 3 | 5 | 20-18 | 21 |
| 9.ატალანტა | 14 | 6 | 3 | 5 | 15-15 | 21 |
| 10.ლაციო | 14 | 6 | 1 | 7 | 17-22 | 19 |
| 11.უდინეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 14-17 | 18 |
| 12.ემპოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 16-20 | 18 |
| 13.კიევო | 14 | 4 | 4 | 6 | 18-16 | 16 |
| 14.სამპდორია | 14 | 4 | 4 | 6 | 20-22 | 16 |
| 15.ჯენოა | 14 | 4 | 4 | 6 | 15-19 | 16 |
| 16.პალერმო | 14 | 4 | 3 | 7 | 13-20 | 15 |
| 17.ფროზინონე | 14 | 4 | 2 | 8 | 14-24 | 14 |
| 18.ბოლონია | 14 | 4 | 1 | 9 | 13-19 | 13 |
| 19.კარპი | 14 | 2 | 3 | 9 | 13-27 | 9 |
| 20.ვერონა | 14 | 0 | 6 | 8 | 10-24 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ტრაპანი ........................ 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტ.ეტიენი-გენგამი ........................ 3:0
ბორდო-კაენი ........................ 1:4
მარსელი-მონაკო ........................ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 13 | 2 | 0 | 37-8 | 41 |
| 2.კაენი | 15 | 9 | 1 | 5 | 18-15 | 28 |
| 3.ანჟე | 15 | 7 | 5 | 3 | 14-9 | 26 |
| 4.ლიონი | 15 | 7 | 4 | 4 | 21-14 | 25 |
| 5.სტ.ეტიენი | 15 | 8 | 1 | 6 | 20-19 | 25 |
| 6.ნიცა | 15 | 7 | 3 | 5 | 30-19 | 24 |
| 7.მონაკო | 15 | 6 | 6 | 3 | 21-21 | 24 |
| 8.რენი | 15 | 5 | 7 | 3 | 21-18 | 22 |
| 9.ლორიანი | 15 | 5 | 6 | 4 | 24-21 | 21 |
| 10.ნანტი | 15 | 6 | 2 | 7 | 12-15 | 20 |
| 11.მარსელი | 15 | 5 | 4 | 6 | 23-17 | 19 |
| 12.გენგამი | 15 | 5 | 4 | 6 | 15-20 | 19 |
| 13.მონპელიე | 15 | 5 | 3 | 7 | 18-19 | 18 |
| 14.ბორდო | 15 | 4 | 6 | 5 | 20-25 | 18 |
| 15.რეიმსი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-19 | 16 |
| 16.გაზელეკი | 15 | 4 | 4 | 7 | 14-19 | 16 |
| 17.ბასტია | 15 | 4 | 3 | 8 | 15-21 | 15 |
| 18.ლილი | 15 | 2 | 8 | 5 | 8-11 | 14 |
| 19.ტულუზა | 15 | 2 | 6 | 7 | 14-28 | 12 |
| 20.ტრუა | 15 | 0 | 5 | 10 | 8-30 | 5 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვიტესი-ნაიმეგენი ........................ 1:0
*ვიტესის გოლი ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა*
გრონინგენი-დენ ჰააგი ........................ 2:1
უტრეხტი-ჰერაკლესი ........................ 4:2
ზვოლე-აიაქსი ........................ 0:2
პსვ-ალკმაარი ........................ 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აკადემიკა-აროუკა ........................ 1:1
რიუ ავე-მორეირენსე ........................ 0:1
ფერეირა-ეშტორილი ........................ 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ანჟი-ცსკა 1:1

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

ინვერნესი-სელტიკი ........................ 1:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუცერნი ........................ 3:0
სიონი-თუნი ........................ 1:2
გრასჰოპერსი-ციურიხი ........................ 5:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-აუსტრია ........................ 4:2
რაპიდი-ალტახი ........................ 3:1

**ბელგია. პრო ლიგა**

ანდერლეხტი-ლეუვენი ........................ 3:2
მეხელენი-ბრიუგე ........................ 1:4
ვესტერლო-ოსტენდე ........................ 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-პანეთოლიკოსი ........................ 2:0
ლევადიაკოსი-ქსანთი ........................ 1:0
პლატანიასი-ვერია ........................ 0:0
ოლიმპიაკოსი-ასტერასი ........................ 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-გაზიანთეპი ........................ 2:2
ბეშიქთაში-აკჰისარი ........................ 0:2
ქაშიმფაშა-გალათასარაი ........................ 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გდანსკი-ლეხი ........................ 0:1
პოდბესკიჟიე-ლეგია ........................ 2:2
ვისლა-კრაკოვია ........................ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჰოვერლა-შახტარი ........................ 1:6
ვოლინი-მეტალურგი(ზ) ........................ 9:1
*ვოლინის მე-2 და მე-4 გოლები სანდრო კობახიძემ გაიტანა*
დინამო-ჩერნომორეცი ........................ 2:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ჰობრო ........................ 2:0
ბრონდბიუ-ოლბორგი ........................ 0:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# მადრიდის რეალი გვარდიოლას კანდიდატურას განიხილავს



მადრიდის რეალს ამჟამად საკმაოდ რთული პერიოდი აქვს. სამეფო გუნდი ბარსელონასთან საკუთარ მოედანზე გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა და რეალის გულშემატკივრებს ეს წაგება ჯერ კიდევ ვერ მოუნელებიათ.

არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ იანვარში რეალის მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი თავის პოსტს დატოვებს და მის შემცვლელს უკვე აქტიურად ეძებენ. ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მადრიდში აქტიურად განიხილავენ ხოსეპ გვარდიოლას კანდიდატურას რეალის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე.

ჯერჯერობით გვარდიოლა ბაიერნშია, თუმცა მას გერმანულ გუნდთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, ამიტომ გამორიცხული არაფერი არ არის.

თვითონ გვარდიოლას ამის შესახებ კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

ბ.ქ.

# ვალენსიის მწვრთნელმა ნუნუ ესპირიტო სანტუმ გუნდი დატოვა



ვალენსია წელს ძალიან ცუდად ასპარეზობს ესპანეთის ჩემპიონატში და 13 ტურის შემდეგ გუნდი მხოლოდ მე-9 ადგილზეა. ვალენსია არც ჩემპიონთა ლიგაში გამოდის კარგად და ეს ყველაფერი მის მთავარ მწვრთნელ ნუნუ ესპირიტო სანტუს ბრალდებოდა.

როგორც ჩანს, ვალენსიის ხელმძღვანელობაც ასე თვლის, რადგან კვირას სევილიასთან სტუმრად წაგებული შეხვედრის შემდეგ სანტუმ თანამდებობა დატოვა.

ეს გადაწყვეტილება მწვრთნელმა და გუნდის ხელმძღვანელობამ ერთად მიიღეს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება ვალენსიას ახალი მწვრთნელი, არ არის გამორიცხული, რომ ეს პოსტი დროებით ფილ ნევილმა დაიკავოს, რომელიც ამჟამად ვალენსიაში მუშაობს.

შემდეგ შეხვედრაში ვალენსია საკუთარ მოედანზე ბარსელონას მიიღებს. მატჩი 5 დეკემბერს გაიმართება.

ბ.ქ.

# დანიელ კარვახალმა მცირე ტრავმა მიიღო



რეალის მცველმა დანი კარვახალმა ეიბართან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო, რის გამოც მან მოედანი 85-ე წუთზე დატოვა.

კარვახალს ამ სეზონში ტრავმები ხშირად აწუხებს, თუმცა ამჯერად მას გაუმართლა და ეს ტრავმა არ აღმოჩნდა სერიოზული. კარვახალი სავარაუდოდ ერთ კვირას გამოტოვებს და, შესაძლოა, ესპანეთის მე-14 ტურის თამაშში ბეტისის წინააღმდეგ, ის მოედანზე ვერ ვიხილოთ.

რეალში ტრავმების ეპიდემიაა და, კარვახალის გარდა, გუნდის ლაზარეთში სერხიო რამოსი და რაფაელ ვარანიც იმყოფებიან, რომლებსაც კარვახალთან შედარებით უფრო სერიოზული ტრავმები აწუხებთ.

ბ.ქ.

## დაზუსტება

„ახალ თაობაში“ დაიბეჭდა სტატია სახელწოდებით „გოგი ცაბაძის უცნობი სიმღერები მის იუბილეზე აჟღერდება“, სადაც აღნიშნული იყო, რომ კულტურის სამინისტრომ უარი განაცხადა ამ კონცერტის დაფინანსებაზე.

სტატიის ავტორს დაუკავშირდა გოგი ცაბაძის შვილი, კომპოზიტორი კახა ცაბაძე და განაცხადა, რომ სამინისტროს პოზიცია შეიცვალა და მათ კონცერტის დაფინანსების გადაწყვეტილება მიიღეს.

**კახა ცაბაძე:**

– მართალია, თავიდან იყო ასეთი ფაქტი, მათ უარი განაცხადეს გოგი ცაბაძის 90 წლის იუბილეს დაფინანსებაზე. ტელევიზიითაც გამოვედი და ვთქვი ამის შესახებ, მაგრამ მერე შეიცვალა მათი პოზიცია და მერიაც და სამინისტროც მხარში დამიდგა.

# ლუბა გოლოვინამ რიოს ლიცენზია აიღო



დანიის ქალაქ ოდენსეში გამართულ ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ლუბა გოლოვინამ ფინალში შესვლა, ანუ საუკეთესო 8 სპორტსმენში მოხვედრა მოახერხა და რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა.

ოდენსეში ჩემპიონობისთვის 100-მდე სპორტსმენი იბრძოდა, აქედან 24-ჯერ ნახევარფინალში გავიდა, შემდეგ კი 8 საუკეთესომ ფინალში ასპარეზობის უფლება მიიღო.

8 საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილემ და მათ შორის ლუბა გოლოვინამ, რიოს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია ავტომატურად დაისაკუთრა.

ფინალში გოლოვინამ, რომელიც პეკინისა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა, 48.595 ქულა დააგროვა და საბოლოოდ გამოსვლა მერვე ადგილზე დაასრულა.

# თორნიკე შენგელიას ეფექტური დაბრუნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მე-2-3 ადგილებს იყოფს. პირველ ადგილზე კი წაუგებელი ვალენსიაა.

მორიგ მატჩს შენგელიას გუნდი 6 დეკემბერს შინ, ტენერიფესთან გამართავს.

მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა **გიორგი შერმადინმაც** და თავის გუნდ მორაბანკ ანდორაში საუკეთესოც იყო, თუმცა გამარჯვების მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ესპანეთის ჩემპიონატის მე-8 ტურში ანდორა სტუმრად მურსიას შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში – 72:76 დამარცხდა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო, მოედანზე ყოფნა კი 21 წუთს მოუწია. ამ დროის განმავლობაში გიორგიმ 6-დან 3 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო ჩააგდო. ანდორელთა ქართველმა ცენტრმა საბოლოოდ 15 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა, რამაც მის გუნდში საუკეთესო შედეგი შეადგინა.

მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმი ფრედ – 32:32 დასრულდა. ბოლო პერიოდის წინ მასპინძლები 4 ქულით იგებდნენ და ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. მურსიელებმა მოახერხეს და ფრედ დასრულებული ბოლო მეოთხედის შემდეგ 4-ქულიან გამარჯვებას მიაღწიეს.

3 მოგებითა და 5 მარცხით ანდორა ცხრილში მე-11-14 ადგილებს იყოფს.

მორიგ მატჩს შერმადინის გუნდი 5 დეკემბერს შინ, სან სებასტიანის რეტაბეტთან გამართავს.

**ვიქტორ სანიკიძის** თედ კოლეჯმა თურქეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში სტუმრად ბუიუქჩეჰმეკი დაძაბულ ბრძოლაში (93:89) დაამარცხა, რაშიც ქართველი ფორვარდის წვლილიც არის.

ვიქტორი მოედანზე 25 წუთით გამოჩნდა და თავი 8 ქულას, 6 მოხსნას, 2 პასს და თითო ჩაჭრა-დაფარებას მოუყარა. ჩვენებურმა 3-დან 2 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

სანიკიძის გუნდი მომდევნო მატჩს 6 დეკემბერს შინ, პინარ ქარშიაქას წინააღმდეგ გამართავს.

თურქეთის ჩემპიონატშივე **მანუჩარ მარკოიშვილის** დარუშაფაკას წარუმატებელი თამაშების სერია გრძელდება. სტამბოლურმა კლუბმა ევროლიგაზე წაგების შემდეგ შიდა ჩემპიონატშიც დამარცხდა. დარუშაფაკამ მორიგი მარცხი სტუმრად ბანვითთან განიცადა – 65:76.

ქართველი უკანახაზელი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 19 წუთი გაატარა. მარკოიშვილმა 3-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო. 7 ქულასთან ერთად, მანუჩარმა 2 პასი და 1 მოხსნა მიითვალა.

4 მოგების მქონე დარუშაფაკასთვის ეს მე-5 მარცხი იყო და სტამბოლური გუნდი, რომელიც 3 ტურის წინ მეორე ადგილზე იყო, ახლა მე-9 საფეხურზეა.

მორიგი მატჩი მარკოიშვილის გუნდს 6 დეკემბერს, მე-11 ადგილზე მყოფ ბუიუქჩეკმეჩთან ელის.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი **ნიკა ცქიტიშვილი** იაპონიის საკალათბურთო ლიგას უშინაურდება და წარმატებულ ნაბიჯებს დგამს. მისი კლუბი ტოჩიგი ბრექსი კი თამაშს თამაშზე იგებს და უკვე ლიდერებშიც გაერია.

იაპონური ლიგის ფორმატით ყველა გუნდი ტურში 2-2 მატჩს (2 დღეში) მართავს ყოველ მეტოქესთან. ტოჩიგელების მორიგი მსხვერპლი ჰიროშიმა დრაგონფლაისი გახდა, რომელიც ცქიტიშვილის გუნდმა ზედიზედ ორჯერ დაამარცხა.

პირველ შეხვედრაში ტოჩიგელებმა მეტოქე 98:66 გაანადგურეს და ქართველმა კალათბურთელმა 19 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ნიკამ 9-დან 5 ორქულიანი ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა.

მეორე მოგებულ მატჩში (87:67) ქართველი ფორვარდი კიდევ უფრო შედეგიანი იყო. მან 21 წუთში 13 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა. ნიკამ 8-დან 6 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

მორიგი მატჩები ტოჩიგი ბრექსს 5 და 6 დეკემბერს კუნძულ ჰოკაიდოს ქალაქ საპოროს გუნდთან აქვს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ასტროპროგნოზი

## 1 დეკემბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. კოლეგებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **კურო** – მთლიანობაში, თქვენი მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ელოდეთ ძვირფას სტუმრებს. მეორე ნახევარი თქვენით ამაყობს. **ტყუპები** – ენერგიულად ხართ. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან შესახვედრად, სამოგზაუროდ. რასაც ჩაიფიქრებთ, ყველაფრის რეალიზებას მოახერხებთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი დღეა. წარმატებული პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. ახლობლებს მრავალ ბედნიერ წუთს აჩუქებთ. **ლომი** – შესაძლებლობა გეძლევათ, ახალი საინტერესო ადამიანები გაიცნოთ. მათთან ურთიერთობა სასიკეთოდ წაგადგებათ. დაიცავით კვების რეჟიმი. **ქალწული** – ნუ გადაიღლებით. ეს თქვენი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. ახალი საქმის დაწყება არ ღირს. იყავით თავდაჯერებული და იმ სიძნელეებს არ შეუშინდეთ, რომლებიც დღეს შეგხვდებათ. **სასწორი** – მიუხედავად უსიამოვნო სიურპრიზებისა, ბეჯითად იმუშავეთ. ახლობელთან კონფლიქტის მოგვარებასაც შეძლებთ. ყური უგდეთ ჭკვიანი ადამიანების რჩევებს. **ღრიანკალი** – მშვიდი და პასიური დღეა. გუნდური მუშაობა წარმატებული იქნება. ნუ ეცდებით, იყოთ ორიგინალური. თავმდაბლად იშრომეთ. **მშვილდოსანი** – იმედები გაგიმართლებთ, განსაკუთრებით მოგზაურობისას და მივლინებისას. იყავით ინიციატივიანი და ხელმძღვანელობა ამას დაგიფასებთ. ახალი იდეების განხორციელებას დღესვე შეუდექით. **თხის რქა** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. ბედი გწყალობთ. წარმატებული დღე გაქვთ. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა ძალიან გაგახარებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა რეკომენდებული არ არის. **თევზები** – იზრდება შრომის ნაყოფიერება. იზრუნეთ საკუთარ იმიჯზე, იყავით პრინციპული, თუმცა გონივრულ კომპრომისზე წასვლაც არ დაგაზარალებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 2. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 3. ქართული მინერალური წყალი; 4. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 5. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. სახელმწიფო ევროპაში; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. მსუბუქი, ფოროვანი სამშენებლო მინერალი; 16. უნივერსიტეტი პარიზში; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. გერმანიის დედაქალაქი; 21. ევროპის და აზიის კონტინენტების გამყოფი ქედი; 22. მთავარი მოედანი მილანში.

**თარაზულად:** 6. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 7. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 8. ცხოველის ტანზე ამომწვარი დამღა; 9. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 10. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ტერიტორიული ერთეული; 15. მოძრავი კიბე; 18. ძველი გერმანული ტომი; 20. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 21. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 23. შტატი აშშ-ში; 24. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სარდალი; 6. კანტორა; 8. სარი; 9. პორშე; 10. ალჟირი; 11. მესა; 13. სინეკურა; 14. ჯაზი; 16. ორგია; 18. გოგრა; 20. ზამთარი; 21. კადრილი.

**შვეულად:** 1. უდიერი; 2. ალმასი; 3. სტიროლი; 4. მარკეტი; 5. სამსალა; 7. კარფური; 11. მაზლი; 12. პანიკა; 13. სპაგეტი; 14. ჯამბაზი; 15. პარიკი; 17. როტორი; 19. ორთი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აბუ; 2. აგნი; 3. სტატიკა; 4. ვასაკა; 5. მერილ; 6. მურნაუ; 7. საბედო; 8. ელი; 9. უმი; 10. კაა; 11. ას; 12. პიერ; 13. მარაკანა; 14. ლაპი; 15. პატრი; 16. სოლ; 17. პასტორი; 18. კია; 19. ფორდი; 20. ნამყო; 21. კოკო; 22. სიმპოზიუმი; 23. ისტორია; 24. იპრიტი; 25. მანდილი; 26. ონასისი; 27. კომპანია; 28. კადილაკი; 29. პინოქიო; 30. ნიასა; 31. მამითადი; 32. მადამ; 33. სატა.

**სურათებზე:** პაოლა რეი; ლიზარაზუ

# ანდრეი მაკარევიჩი თბილისში აღარ ჩამოდის

2 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი ანდრეი მაკარევიჩის კონცერტი აღარ ჩატარდება. ინფორმაციას კონცერტის ორგანიზატორები ავრცელებენ. თბილისი ოფენ ეარ ალტერვიჟენის ინფორმაციით, მაკარევიჩის კონცერტის გადადება გაუთვალისწინებელი პრობლემებია:

— სამწუხაროდ, სხვადასხვა ქალაქებიდან გართულებული ფრენების გამო, 2 დეკემბერს ანდრეი მაკარევიჩის ბენდის ნაწილის თბილისში დროულად ჩამოყვანა ვერ ხერხდება. შეიქმნა რისკი, რომ ლაივი არ შედგეს ან იყოს არასრულყოფილი. შესაბამისად, იძულებულები ვართ, მაკარევიჩის მენეჯერებთან შეთანხმებით, შოუ გადავდოთ 2016 წლის 9 მარტისთვის. ეს უახლოესი შესაძლო თარიღია, რომელზეც ორივე მხარემ მოვილაპარაკეთ.

ჩვენ 3 დეკემბრამდე ვწყვეტთ ბილეთების გაყიდვას. 3 დეკემბრიდან ბილეთების გაყიდვა ჩვეულებრივად განახლდება თბილისის საკონცერტო დარბაზის სალაროებში და ონლაინ ტკტ.გე-ზე. ბილეთების ფასი არ შეიცვლება.

ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისათვის.



# გიორგი ნაზღაიძე ავარიაში მოყვა



მოდელი და ტელეწამყვანი გიორგი ნაზღაიძე ავარიაში მოყვა. საბედნიეროდ, ის გადარჩა და სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

ინფორმაცია ტელეწამყვანმა თავად გაავრცელა:

— მოკლედ, გუშინ ავარია და გადავრჩი, დღეს საბურავი და დამაგვიანდა. სასწრაფოდ უნდა დავა..რდო ყველას თვალებზე!

გიორგი ნაზღაიძე მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც თავისი გულწრფელი მოსაზრებები საჯაროდ არაერთხელ დააფიქსირა. მისმა პოპულარობამ კი პიკს მაშინ მიაღწია, რაც ია ფარულავასთვის სასამართლოში ჩივილის გადაწყვეტილება მიიღო და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის მსახიობისგან სიმბოლურად 1 ლარის გადახდა მოითხოვა.

# უკრაინული „იქს ფაქტორიდან“ ქართველები გაუშვეს

წლევანდელი უკრაინული „იქს ფაქტორი“ დაწყებისთანავე წარუმატებელი აღმოჩნდა ქართველი კონკურსანტებისთვის. წელს პროექტში განსაკუთრებით ბევრი ქართველი მომღერალი მონაწილეობდა და ეს შანსი ყველასთვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

ბესო ნემსაძის, თათია კობალაძის და ჯგუფ „სპარკლის“ შემდეგ, უკრაინული „იქს ფაქტორის“ მეექვსე სეზონის მეოთხე პირდაპირი ეთერი პროექტში დარჩენილი ორივე ქართველი კონკურსანტისთვის ერთდროულად წარუმატებელი აღმოჩნდა.

ქრისტინე მარტიაშვილი და ნინი ნუცუბიძე ერთ დღეს გაუშვეს შოუდან.

# თბილისში დავით არსენიშვილის ძეგლი დაიდგმება

თეატრალური მუზეუმის დამაარსებლის დავით არსენიშვილის ძეგლი თბილისში დაიდგმება.

დავით არსენიშვილის სახელთან არის დაკავშირებული ხელოვნების სასახლის დაარსება, ლიტერატურული მუზეუმის დაარსება, ანჩისხატის ტაძრის გადარჩენა აფეთქებისგან.

მის მიერ წლების წინ დაარსებული მუზეუმი ამ ტიპის პირველი სიძველეთსაცავი იყო ამიერკავკასიაში. მუზეუმს დავით არსენიშვილმა პირად კოლექციაში არსებული 500 ექსპონატი შესწირა. ერთი წლის შემდეგ კი შემოწირულობებით მუზეუმს 3.000-ზე მეტი ექსპონატი დაუგროვდა.

დავით არსენიშვილი თვითონ ყიდულობდა ექსპონატებს, მაგრამ ის არ იყო მდიდარი ადამიანი, ამიტომ დგამდა სპექტაკლებს და შეგროვილი თანხით ყიდულობდა ექსპონატებს.

30-იან წლებში ის გააძევეს საქართველოდან. მიიწვიეს მოსკოვში, სადაც ანდრეი რუბლიოვის მუზეუმის შექმნა შესთავაზეს. ეს მუზეუმი დღემდე მოქმედებს.

არსენიშვილი 10 წლის მანძილზე დადიოდა მთელ რუსეთში და აგროვებდა რუბლიოვის ხატებს, შეაგროვა კიდეც დიდი მასალა, მუზეუმის გახსნის დღეს კი ის მოხსნეს.

დავითს უთხრეს, წასულიყო საქართველოში და მოევლო თავისი ხატებისთვის. ის ჩამოვიდა თბილისში, სადაც განაგრძობდა სამუზეუმო ნივთების შეგროვებას. თავდაპირველად ამ მუზეუმს ერქვა სათეატრო მუზეუმი, შემდეგ დაემატა მუსიკა, მერე კინო და ბოლოს ქორეოგრაფია. მუზეუმს გრძელი სახელი აქვს, ამიტომ, როგორც ხელოვნების სასახლეს, ისე მოიხსენიებენ.

კომუნისტების პერიოდში, როცა ეკლესიებს ანგრევდნენ და ფრესკებს ათეთრებდნენ, უნდოდათ ანჩისხატის ეკლესის დანგრევა.

— დავით არსენიშვილი თავის რამდენიმე მეგობართან ერთად შევიდა ტაძარში, რომ გადაერჩინა, მაგრამ მეგობრებმა დიდხანს ვერ გაძლეს და მან 4-5 თვე სრულიად მარტომ დაჰყო ტაძარში. ის იქ ფილტვებით დაავადდა, თუმცა ანჩისხატი აფეთქებას გადაარჩინა. დაავადებული დავით არსენიშვილი საავადმყოფოში მოხვდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც, — განაცხადა ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

თეატრალურ მუზეუმს ახლა ხელოვნების სასახლე ანუ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი ჰქვია. დავით არსენიშვილის ძეგლიც 4 დეკემბერს ამ მუზეუმში დაიდგმება.

# ზურა ხაჩიძე: „სააგენტოების შუბას დავხევ!“

## ვინ კლავს მომღერალს?



სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდება ჭორები ცნობილი ადამიანების გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გამონაკლისი არც ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი ზურა ხაჩიძეა.

ინტერნეტში ელვის სისწრაფით გავრცელდა ინფორმაცია მომღერლის გარდაცვალების შესახებ, რასაც ზურასთან უწყვეტი სატელეფონო ზარები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები მოყვა.

შეწუხებული მომღერალი იძულებული გახდა, საჯარო განცხადება გაევრცელებინა და გავრცელებული ინფორმაცია პირადად უარეყო.

**ზურა ხაჩიძე:**

— ვინ ავრცელებს ჭორებს, არ ვიცი, ან რა ხუმრობაა ადამიანის სიკვდილზე ჭორების გავრცელება! დაწყნარდით, ჯერ არ მოვმკვდარვარ და თქვენ ჯინაზე არც ახლო მომავალში არ ვაპირებ სიკვდილს... თუ სმს-ბი, თუ ზარები, გავგიჟდი, ეს რა ქვეყანააა... სააგენტოებო, დაგერევით და თქვენ შუბას დავხევ, იცოდეთ!

# გუგული მგელაძე გარდაიცვალა

კინორეჟისორი და სცენარისტი გუგული მგელაძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ინფორმაცია ჟურნალისტმა ნინია ახვლედიანმა გაავრცელა და განცხადებას ფილმ „ფესვების“ ფინალური სცენის ვიდეოც დაურთო:

— მარტო ამ ფინალის გამო ღირდა ცხოვრება. ვამაყობ, რომ ბაბუაჩემი ასეთი რეჟისორი იყო. სიმბოლურია, გუშინ ღამე ელდარ რიაზანოვიც გარდაიცვალა... სიმბოლურია, დღეს თბილისის კინოფესტივალი იხსნება...

გუგული მგელაძე უკვე ქართული კინოს ისტორიაა.

გუგული მგელაძემ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტზე ისწავლა და გადაიღო ფილმები „ფესვები“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ბურთი და მოედანი“, „ცისკრის ზარები“, „ჩაკლული სული“, „მაცივარში ვილაც იჯდა“. პირველი წარმატება რეჟისორს მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „ბურთი და მოედანი“ მოუტანა. შემოქმედებითად მოღვაწეობის პერიოდში მან 20-ზე მეტი ფილმი გადაიღო.

მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ფილმი „გაჭედილები“, სადაც მთავარ როლებს ოთარ მეღვინეთუხუცესი და გურანდა გაბუნია ასრულებენ.

გუგული მგელაძეს ხუთშაბათს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მამა თარაში, მეუღლე ხათუნა, შვილები ანანო, ლუკა, დები ნატო, ნანა, დეიდა ნელი ჯიბლაძე, მამიდა ვენერა, დისშვილები ეკატერინე, მარიამი, გიორგი ბოკუჩავები, თამარ, ნინო თავართქილაძეები, სიდედრი ელიკო გაჩეჩილაძე, ცოლისძმა მამუკა მაჭარაძე, სიძე ზურაბ თავართქილაძე, ბიძაშვილები ვახო, ვალერი, მაია ესიავები, მამიდაშვილი კახა ჯოჯუა, დეიდაშვილები თენგო, თამაზ ცაგარეიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუგზარ (ნუკრი) ესიავა**

**პანაშვიდი:** 1, 2 დეკემბერს, 16 საათზე.
**დაკრძალვა:** 3 დეკემბერს, 14 საათზე.
**მისამართი:** ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირი №16, ბინა 56.

მეუღლე ვახტანგ დუნდუა, შვილები თამარი და ხათუნა, შვილიშვილები ნიცა, სესილი, კონსტანტინე, დები დოდო, იზა ბურჯანაძეები, მულები ზაირა, კლარა, დისშვილები, ძმისშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**აზა დუნდუას**

გარდაცვალებას.
**პანაშვიდი:** 1, 2 დეკემბერს, 16 საათზე.
**დაკრძალვა:** 3 დეკემბერს, 14 საათზე.
**მისამართი:** თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.№52, I სადარბაზო, II სართული.

დები დოდო, იზა ბურჯანაძეები, ძმისშვილები ანდრო, სოფო, დისშვილები ეკა, თიკა შავდიები ოჯახებით, დის შვილიშვილები ლაშა ხარატიშვილი და ანდრია ბეჟანიშვილი, რძალი ლია სამხარაძე, ხათუნა უთმელიძე, სიძეები ვლადიმერ ჯავახიშვილი, გია ბეჟანიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სათნო, უკეთილშობილესი და მათთვის საყვარელი და, მამიდა, მული

**აზა ანდროს ასული ბურჯანაძე-დუნდუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 1 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "არქიტექტურა" 14.05 მხ/ფ "**სიღარიბესა და სიმდიდრეში**" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ-შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 "კომუნიკატორი" 23.00 მხ/ფ "**მიწისძვრა**" (ა.გარდნერი) 01.40 მოამბე 01.50 მხ/ფ "**აიდლვაილდი**"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დოკ/ფ "ზერები ლაბორატორიაში" 13.00 დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.30 "თავისუფალი ტრიბუნა" 18.30 **ფეხბურთი** – მსოფლიო ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი: **საქართველო – რუმინეთი** 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 07.00 სერ. "**კარმა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 2 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 Voice - საქართველო 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 მხ/ფ "**დრაკონების აკლდამა**" (ს.ედკინსი) 02.50 მხ/ფ "**კეთილი ჯონი**" (ა.საიფრედი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 სპექტაკლი "**კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა**" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი "რა არის ბედნიერება" 10.40 საქართველოს ქალაქები-თელავი II ნაწ. 11.10 თაობა ზეტი 2X5 11.30 გამოყენებითი ხელოვნება 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" I სერ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 საუკუნის პორტრეტები -გ. ცაბაძე 16.30 მგზავრები წუთისოფლისა "სამაჩაბლო" 17.10 მოკ. მხ/ფ "**ადგილის დედა**" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-მთიები (გარაყანიძე) 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი "ცხინვალის რეგიონის წერილობითი ძეგლები" 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 3.00 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 სერ. "**დაკარგული დრო**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 17.05, 2.15 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ნადირობა**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**ბელადის ვაჟი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დემონი არაბულ ფოლკლორში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. მათემატიკური ორწევრი; 15. აზერბაიჯანული მაწონი; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. სახელმწიფო ევროპაში; 7. საგაზეთო პუბლიკაცია; 9. მეფის მრჩეველი ძველად საქართველოში; 11. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 12. მდინარე გაგრაში; 13. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 17. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 18. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

1 დეკემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4051 | ევრო — 2.5477 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6199 | 100 რუსული რუბლი — 3.6350 |

**ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისთვის**




# 3 დეკემბრიდან

## „ახალ თაობასთან“ ერთად

მაია ბურჭულაძე

# აბუსერიძეების საგა

## ქართული დეტექტივის მე-12 ტომი




# თორნიკე შენგელიას ეფექტური დაბრუნება

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

**თორნიკე შენგელიამ** ესპანეთის უმაღლეს დივიზიონში სუპერმატჩი ჩაატარა.

ლაბორალ კუჩას ქართველმა ფორვარდმა, რომელსაც ფეხის ტრავმის გამო თვენახევარი გაუცდა და ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, მორიგი ტურის შეხვედრაში სტუმრად სარაგოსას 21 ქულა ჩაუგდო და მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაისაკუთრა.

მოედანზე ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა შენგელიამ 2 მატჩში ჯამში 20 წუთი ითამაშა და 6 ქულა მოაგროვა. სარაგოსასთან შეხვედრაში კი ქართველმა ფორვარდმა საკუთარი შესაძლებლობები დიდი დოზით წარმოაჩინა. ამის საშუალება მას მწვრთნელმა მისცა, რომელმაც თორნიკეს სათამაშოდ 23 წუთი დაუთმო.

შენგელია სასტარტოში არ ყოფილა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, საუკეთესო გამხდარიყო. ქართველმა ლეგიონერმა 9-დან 6 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. მთლიანობაში თორნიკემ 21 ქულა, 7 მოხსნა, 3 დაფარება, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოაგროვა.




მარგი ქმედების კოეფიციენტითაც (27) შენგელია მოედანზე საუკეთესო იყო. მის შემდეგ 17 ერთეულით ვიტორიელთა ამერიკელი ლეგიონერი დარიუს ადამსი მოდის. რაც შეეხებათ სარაგოსელებს, მათი კალათბურთელები ვერაფრით გამოირჩნენ და, შესაბამისად, დიდი სხვაობითაც დამარცხდნენ – 66:90.

7 მოგებითა და 1 მარცხით ლაბორალ კუჩა ბარსელონასთან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# კალეიდოსკოპი



## ტორონტოს ზოოპარკში ლომის თეთრი ბოკვერები აჩვენეს

ტორონტოს ზოოპარკში პირველად აჩვენეს საზოგადოებას ლომის თეთრი ბოკვერები, რომლებიც 26 და 27 სექტემბერს დაიბადნენ. ვეტერინარები მათი დაბადებიდან პირველი 30 დღის განმავლობაში მათ ჯანმრთელობას საგულდაგულოდ უფრთხილდებოდნენ.

კანადის ზოოპარკის წარმომადგენლებმა იუთუბიში გა-



მოაქვეყნეს ვიდეო, რომელზეც თეთრი ბოკვერებია ასახული და რომელმაც ამ მომენტისთვის 14.6 ათასი ნახვა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ მათი მშობლების მაკალისა და ფინტანისთვის ისინი პირველი ნაშიერები არიან.

თეთრი ლომები ალბინოსები არ არიან და არც ცალკე სახეობას წარმოადგენენ. მათი ბეწვის ფერი მუტაციისა და მასში რეცისული გენის არსებობის შედეგია. ისინი გადაშენების პირას მყოფი ცხოველები არიან. თეთრი ლომების დაცვის საერთაშორისო ფონდის მონაცემებით, მსოფლიოში სულ 300 ლომია დარჩენილი.

## ჩინელებმა პანდის იუბილე იზეიმეს



შაბათს, 28 ნოემბერს, ჩინეთში პანდის, სახელად ბასის 35 წლისთავი იზეიმეს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე უხუცეს პანდადაა მიჩნეული. ადამიანის მონაცემებს თუ შევუსაბამებთ, ბასი დაახლოებით 100 წლისაა.

ეს ცხოველი ჩინეთში ფართოდაა ცნობილი არა მხოლოდ მისი ასაკის გამო, ის აზიური თამაშების სიმბოლოდ აქციეს, რომელიც პეკინში ჯერ კიდევ 1990 წელს გაიმართა. ზოოლოგების აზრით, პანდის დღეგრძელობაზე სამმა ფაქტორმა იქონია ზეგავლენა: მოშინაურებამ, მეცნიერულად შერჩეულმა კვების რაციონმა და სამედიცინო მოვლა-პატრონობამ.

მოშინაურების შედეგად დათვი ადამიანების მიმართ ნდობით აღიჭურვა და მათ თავისთან ახლოს უშვებს, რაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების დროულად გამოვლენას უწყობს ხელს. კერძოდ, ბასის თვალზე კატარაქტის ოპერაცია გაუკეთდა, რის შედეგადაც მხედველობა ნაწილობრივ აღუდგა. ასევე აღსანიშნავია, რომ დათვს საღი კბილები აქვს შენარჩუნებული.

აღსანიშნავია, რომ ბასი სიცოცხლის ხანგრძლივობით მეორე ადგილზეა მსოფლიოში. ყველაზე ხანდაზმულად კი 38 წლის ცზია-ცზია ითვლება, რომელიც ჰონგ კონგის გასართობი პარკის ბინადარია. როგორც წესი, ტყვეობაში პანდები დაახლოებით 30 წლის ასაკამდე ცოცხლობენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იუმორი



ტრანსპორტში ქალი ტელეფონზე საუბრობს:

– ნესტანი როგორაა? ავთანდილი ხომ არ წასულა ინდოეთში?... ჰა... თინათინი ჩამოვიდა?

ამ დროს გვერდზე მჯდომი მამაკაცი ეკითხება:

– უკაცრავად, ქალბატონო, შოთას თუ ელაპარაკებით, მოგვიკითხეთ!

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ცოლი რატომ გაუშვი?

– გაბოზდა...

– გადამრევ! რაც შენ ბოზებში ფულს ხარჯავ, საკუთარი გყოლოდა, არ ჯობდა?!

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, მიიღე ჩემი გულწრფელი მოლოცვა!

– ???

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს დღე ყველაზე ბედნიერ დღედ დარჩება შენს ცხოვრებაში.

– მადლობა, მამა, მაგრამ ჩემი ქორწილი ხომ ხვალ არის.

– შვილო, ვიცი, რასაც ვამბობ!

●●●

ადრე სკოლაში კითხვასა და წერას ასწავლიდნენ, ახლა კი იმას ამოწმებენ, ეს ყოველივე როგორ ისწავლეს ბავშვებმა სახლში.

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამა, რით განსხვავდება ჭკუა და ეშმაკობა?

– ჭკუა რთული პრობლემების დაძლევაში გეხმარება, ხოლო ეშმაკობა – მათთვის გვერდის ავლაში.

– რომელი უფრო სასარგებლოა?

– ყველაზე სასარგებლო ინტელექტია.

– ეგ როგორ?

– ის საშუალებას გაძლევს აირჩიო, რომელი უკეთესია: პრობლემები დაძლიო თუ გვერდი აუარო და კიდევ სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაყო.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– რის უფლებას აძლევს საკუთარ თავს თქვენი ქმარი?!

– რა მოხდა?

– ის პირდაპირ თვალებით მაშიშვლებს.

– ოჰ, თქვენ ჩემს ქმარს არ იცნობთ, ის უკვე აივანზეა გასული და სიგარეტს ეწევა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ოქროს ბურთისთვის მესი, კრიშტიანო რონალდუ და ნეიმარი იბრძოლებენ







გუშინ, 30 ნოემბერს, ოფიციალურად დადასტურდა, რომ 2015 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას ერთმანეთში ლიონელ მესი, კრიშტიანო რონალდუ და ნეიმარი გაითამაშებენ.

სწორედ ამ სამ ფეხბურთელს შორის ერთ-ერთი მოიგებს ოქროს ბურთს, რომელიც მესისთვის მეხუთე იქნება, ხოლო რონალდუსთვის მეოთხე. ბრაზილიელი ნეიმარი პირველად არის ასეთ პრესტიჟულ სიაში და მან ეს თავისი თამაშით სრულებით დაიმსახურა.

სავარაუდოდ, ოქროს ბურთს მესი მოიგებს, რადგან მისთვის 2015 წელი ძალიან წარმატებული გამოდგა.

**ბ.გ.**

# ხატია ბუნიათიშვილი ქოლდფლეისთან დაუკრავს



ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილი მსოფლიოში ცნობილ როკ ჯგუფთან, ქოლდფლეისთან ერთად დაუკრავს.

მსოფლიოს წამყვანი ფესტივალებისა და კონკურსების ყველაზე სასურველი ქართველი პიანისტი მონაწილეობას მიიღებს ჯგუფის ახალი ალბომის ჩაწერაში, რომელშიც სხვა ცნობილი უცხოელი მომღერლებიც ჩაერთვებიან.

ახალ ალბომზე, როკ ჯგუფის წევრებთან ერთად, იმუშავებენ ბიონსე, მერი კლეიტონი, ნოელ გალაჰერი.

**ეკა ირემაშვილი**

# ნატალი მაჩიტაძე: „სულ სწერვა, მკვლელი და ბოზი შეიძლება ვითამაშო?“

## „ნუ გინდათ ჩემშიც შორენა დაინახოთ!“



სერიალ „მზარეულების“ მსახიობი ნატალი მაჩიტაძე ქართველ რეჟისორებს მიმართავს და თვალების კარგად გახელისკენ მოუწოდებს.

**ნატალი მაჩიტაძე:**

– მესმის, რომ ეს „სექსი“ კომერციულია და კარგად იყიდება ამ უსექსო ქვეყანაში, მაგრამ ხომ შეიძლება ნორმალური როლები შემომთავაზოთ? გავიგე, რომ ვიზუალიდან გამომდინარე მთავაზობ, მაგრამ ვიზუალის გარდა, მაქვს სულიერი მხარეც და სიამოვნებით შევასრულებდი როლებს, რომლებიც ოდნავ მაინც ახლოს არის ჩემთან. სულ სწერვა, მკვლელი და ბოზი შეიძლება ვითამაშო? რეჟისორებო, გაახილეთ კარგად თვალები და ნუ გინდათ ჩემშიც შორენა დაინახოთ.

ბევრად მეტი შემიძლია და გარეგნობით არ ვმანიპულირებ!

**ეკა ირემაშვილი**

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი